პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 5 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 127 (1282)

ხალხ. კომისარიატის
კომუნისტი

დღიური

— ინგლისის პოლიცია თავს დაესხა კომუნისტ ქალების თათბირს.

— ბულგარეთის მთავრობამ ელჩთა კონფერენციის დადგენილების თანახმად დაითხოვა 10.000 ჯარისკაცი.

— ბურჟუაზიული პარტიები საფრანგეთში აღშფოთებული არიან კომუნისტების აგიტაციით მაროკოს ომის წინააღმდეგ.

— ბელგიის მთავრობის შედგენა იკისრა კათოლიკების ბელადმა კულლემ.

შანხაის ამბები

უაღრესი ყურადღების ღირსია ის ამბები, რომლებიც დატრიალდა შანხაიში. შანხაი ჩინეთის სანავთსადგურო ქალაქია, რომელიც იმყოფება უცხოელების ბატონობის ქვეშ. უცხოელები აქ სარგებლობენ ხელშეუხებლობის უფლებებით. აქ არის უცხოელთა საქალაქო თვითმართველობა, უცხოელთა პოლიცია და ჯარი. ჩინეთის მთავრობის ძალა-უფლება არაფერში სჩანს, ან იმდენად აშკარავდება, რამდენადაც მას უცხოელები იყენებენ ჩინელ მოსახლეობის დასამონებლად.

შანხაის მაგალითზე ყველაზე უფრო აშკარავდება, თუ უცხოელი იმპერიალისტები როგორ სთელავენ ფეხქვეშ „დამოუკიდებელი" ჩინეთის უფლებებს, თუმცა ისიც ვიცით, რომ საერთოდ მთელი ჩინეთი (ისე როგორც აღმოსავლეთის დანარჩენი ქვეყნებიც) იმპერიალისტების სათარეშო ასპარეზს წარმოადგენს. ჩინელები მათ მიაჩნიათ დაბალი „რასსის" ადამიანებად, რომლებთან თანასწორ დამოკიდებულებაზე ფიქრიც კი დაუშვებლად მიაჩნიათ. თვით პეკინში, ჩინეთის დედა-ქალაქში, არსებობს „განათლებულ" უცხოელთა (ვალკი უბანი, სადაც ჩინელებს შესვლა აკრძალული აქვთ. როცა შარშან ერთი ჩინელი ჯარისკაცი შევიდა ამ უბანში, მას სასტიკათ სცემეს. ასეთივე პრივილეგიური მდგომარეობა აქვთ მოპოვებული უცხოელებს ჩინეთის სხვა ქალაქებშიც.

მაგრამ შანხაი ამ მხრივ მაინც განირჩევა. ამ ქალაქს უცხოელები „თავისად" სთვლიან. აქ მათი უმხეცო, ქედმაღლური დამოკიდებულება ჩინელებისადმი განსაკუთრებულია. ეს იმიტომ, რომ უცხოელი იმპერიალისტები აქ მეტ რეალურ ძალას გრძნობენ. მათ ზურგს უმაგრებს სამხედრო ფლოტი, რომელიც ყოველთვის მზად არის ზარბაზნები აამოქმედოს, დესანტი გადმოსხას, თუ ჩინელები „გათავხედდებიან" და თავის უბრალო ადამიანურ უფლებებზე კრინტს დასძრავენ. აქედან შეუტიის მათ გომინდანის რევოლიუციონურ არმიას სამოქალაქო ომის დროს ჩინეთში. მაშინ სუნ-იატ-სენის მთავრობამ მედგარი წინააღმდეგობით შეაჩერა მათი სამხედრო „გატაცება".

მაგრამ თავის სამფლობელოში, შანხაიში, უცხოელი იმპერიალისტები დაუსჯელად თარეშობენ. კერძოდ მათ ფაბრიკა-ქარხნებში გამეფებულია საშინელი პირობები. აქ პრაქტიკაშია ჩინელ მუშების ფიზიკური დასჯა. უღიერი მოპყრობა, მცირე ხელფასი, მეტად ხანგრძლივი სამუშაო დრო, ბავშვთა და ქალთა შრომის განუსაზღვრელი ექსპლოატაცია და სხვ.,—აი, მძიმე ხვედრი ჩინელ მუშების.

ასეთი ხვედრის ატანა ბოლოს და ბოლოს ვერ შესძლეს მუშებმა და ამას წინედ მათ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთ მთელი რიგი მოთხოვნები წარუდგინეს. ადმინისტრაციის აგენტებმა ამაზე რამოდენიმე ჩინელ მუშის დახვრეტით გასცეს პასუხი.

ასეთმა მოპყრობამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია არა მარტო შანხაის ჩინელ მოსახლეობაში, არამედ მთელ ჩინეთში. შანხაიში გაიმართა სტუდენტების და მუშების მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაციები. და აქ უცხოელთა იმპერიალისტებმა ახალი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. მათ საპროტესტოთ გამოსული ხალხი ტყვიებით დაცხრილეს. მოკლულია 15 კაცი დაჭრილია 150 მდე. ამის გამო აღელვება მოედო პეკინს და სხვა ქალაქებს. თვით შანხაიში დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვები.

ჩინეთის ხალხი მოითხოვს უცხოელების ძალა-უფლების მოსპობას თავის ქვეყანაში. სუნ-იატ-სენის პარტია მოუწოდებს ჩინელებს ბრძოლისაკენ ნაციონალური რევოლიუციისა და უცხოელ იმპერიალისტების მიერ ჩინეთზე მოხვეულ, მის დამმონებელ, ხელშეკრულებათა გაუქმებისათვის. პეკინის მთავრობამ, დემონსტრანტების ზეგავლენით, პროტესტი განუცხადა ინგლისის და იაპონიის მთავრობებს შანხაის ამბების გამო.

ჩინელი ხალხი აძლიერებს ბრძოლას იმპერიალისტების წინააღმდეგ. უკანასკნელთ ვერ უშველის ის გარემოება, რომ შანხაიში და საერთოდ ჩინეთში დაწყებულ აღშფოთებას მათ წინააღმდეგ ისინი კომუნისტებს აბრალებენ. რა თქმა უნდა კომუნისტური პარტია სცდილობს დარაზმოს ჩინეთის ხალხი, რათა დაამსხვრევინოს მას უცხოელთა (ისე როგორც შინაურ ბატონების) უღელი. მაგრამ ჯერ-ჯერობით კომპარტია ჩინეთში სუსტია. სამაგიეროთ მას თვით იმპერიალისტები დიდ რეკომენდაციას უკეთებენ ხალხის თვალში, როცა იგი გამოჰყავთ მის განთავისუფლების მედროშედ.

ასე კომუნისტებს აბრალებენ იმპერიალისტები რიფების ბრძოლას მაროკოში და ყველგან, ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობას. მაგრამ ისინი განზრახ ივიწყებენ, რომ თვითონ ისინი, იმპერიალისტები არიან საუკეთესო აგიტატორები თავის წინააღმდეგ დაჩაგრულ ხალხთა ასაჯანყებლად, აგიტატორები საქმით, მოქმედებით. ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ" ამბობს: „ეჭვი არ არის, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ძლიერდება აღშფოთების გრძნობა იმ უფლებების გამო, რომლებითაც შანხაიში სარგებლობენ იმპერიალისტური ქვეყნები. ეხლანდელ ამბებს მარტო ბოლშევიკურ აგიტაციას ვერ მივაწერთ. საჭიროა, რომ ამ სახელმწიფოებმა დაარწმუნონ ჩინელები თავის კეთილ განზრახვებში"-ო. იმპერიალისტების „კეთილი განზრახვები"! ეს დაცინვაა ჩინელებზე და საერთოდ დაჩაგრულ ხალხებზე. მათ ასეთი განზრახვები გვიჩვენეს შანხაიში, მაროკოში და სხვაგან.

მხოლოდ საბჭოთა კავშირია ერთად ერთი სახელმწიფო, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაა ერთად-ერთი მთავრობა, რომელიც ნამდვილად ატარებს კეთილ განზრახვებს აღმოსავლეთის ხალხებისადმი. იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით იცავს მათ უფლებებს და ინტერესებს. ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთის ხალხები ილტვიან საბჭოთა კავშირისაკენ, ამყარებენ ჩვენთან მეგობრულ განწყობილებას.

მედგარი ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირთან მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცება—აი გზა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლების.

თემის ბიუჯეტის გარშემო*)

I.

„კომუნისტი"-ს 124 ნომერში მოთავსებულია ამხ. ვ. ქურდაძის წერილი, რომელშიც ის სცდილობს გააბათილოს ამხ. დ. თოფურიძის მიერ იმავე გაზეთის ფურცლებზე გამოთქმული აზრი თემის ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროების და კერძოდ ნაციონალიზაციაქმნილ მამულების შესახებ.

ნაციონალიზაცია ან კონფისკაცია ქმნილი მამულები იყოფა რამდენიმე სახედ, ჯგუფად. არის სახნავი მიწები, სათიბები, საძოვრები, ბაღვენახები და სხვა. ეჭვს გარეშეა, რომ სახნავი მიწები და სათიბები უნდა გადაეცეს ხელმოკლე, უმიწო გლეხკაცობას და ეს დავას არ იწვევს. მაგრამ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რათ უნდა გადაეცეს კერძო პირს ან ჯგუფს კულტურული მამულები, როდესაც ამ მამულს რაიონული მნიშვნელობა აქვს და შეუძლია სარგებლობა მოუტანოს მთელს რაიონს. დიალაც არაფერი ექნება თემს შემოსავალი, თუ ყველა ამგვარი ქონება გადაეცემა კერძო პირებს ან ჯგუფებს.

ამხ. ვ. ქურდაძე გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეა და მან უნდა იცოდეს, რომ სოფ. კავთისხევში, ამ რაიონში საუკეთესო ვენახი ჩამოერთვა მოქ. გ. ჩივაძეს, იმავე მაზრის სოფელ საქაშეთში ჩამოერთვა საუკეთესო ხილის ბაღი მოქ. ტიტვინიძეს და მეორე ბაღი, შენობებით მოქ. დიასამიძეს, სოფ. ახალქალაქში გრუზინსკის ბაღი სამაგალითო და წისქვილი, აღში ამირაჯიბს სარჩენებელი მამული და სხვა.

ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა მრავალი მაგალითი, მაგრამ ესეც საკმაოდ მიგვაჩნია.

ჩივაძისეული მამული სოფ. კავთისხევში იყო და არის (თუ ჯერ არ გაფუჭებულა) კავთისხევისათვის უაღრესად საჩვენებელი მნიშვნელობისა.

ამავე მამულს ჰქონდა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის ინვენტარი და მოწყობილობა. ამ მამულის ჯეროვანი წარმოება და კულტურული მნიშვნელობის შენარჩუნება შესაძლო არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას განაგებს ცოდნით და გამოცდილებით შეიარაღებული პირი.

სოფ. კავთისხევის რაიონი მუდამ ითვლებოდა ისეთს რაიონად, რომელიც ღვინის მოსაველს თუ სრულიად უვარგისად არა, მეტად დაბალი ღირსებისას იძლეოდა. მაგრამ გ. ჩივაძემ ეს აზრი საფუძვლიანად გაფანტა და თავის ვენახის მაგალითზედ თვალსაჩინოდ დაუმტკიცა ამ რაიონის გლეხკაცობას, რომ ვაზის ჯიშის შერჩევით და ღვინის მეცნიერულად დაყენებით კავთისხევშიც შეძლება საუკეთესო ღვინის მოყვანა.

ასეთივე მნიშვნელობისა არიან ყველა ზემოაღნიშნული ჩამორთმეული მამულები.

და ჩვენ ვფიქრობთ ამგვარი მამულების გადაცემა კერძო პირებზედ არ არის მიზანშეწონილი.

ადგილობრივი ხელისუფლება უნდა ეცადოს ამგვარ მამულებს შეუნარჩუნოს კულტურული მნიშვნელობა და თუ ის არ არის საჩვენებელი მამული, აქციოს იგი ამ მნიშვნელობის მამულად. ამის შესაძლებლობა არა აქვს კერძო პირს, ხელმოკლე გლეხკაცობას, მაგრამ შეუძლია ხელისუფლებას, რადგან მას ჰყავს თავის შტატში ამისათვის საჭირო მცოდნე და გამოცდილი თანამშრომელნი.

აღნიშნულ ხასიათის მოვლენას ადგილი აქვს არა მარტო გორის მაზრაში, ამასვე ვხედავთ სხვა მაზრებში. ვიმეორებთ, ასეთი მამულების გადაცემა კერძო პირებზე არ არის მიზანშეწონილი და დაუშვებელია.

ეს მამულები არ უნდა გადაეცეს არც მიწათმოქმედების კომისარიატს, რადგან მათ მხოლოდ რაიონული მნიშვნელობა აქვთ და საჩვენებელი ხასიათის მამულებია მხოლოდ თავთავის რაიონებში. ამას გარდა ეს მამულები არც ისე დიდია, რომ მათი გამგებლობა ცენტრიდან ხელსაყრელი და მომგებიანი იყოს.

სულ სხვა მდგომარეობაში იქნებიან ხსენებული მამულები, თუ მათ წარმოებაში დაინტერესებული იქნება მთელი რაიონის მცხოვრებნი, თუ ამ მამულების შემოსავალი იმავე რაიონის მცხოვრებლებს დაუბრუნდებათ სკოლის, საავადმყოფოს, გაუმჯობესებულ სოფლის მეურნეობის, გზების, ხიდების და სხ. სახით.

აგერ ორი წელიწადი სრულდება, რაც საკავშირო ცაკმა საკანონმდებლო აქტივით დააკანონა, რომ უნდა მოხდეს სახელმწიფო და ადგილობრივ მნიშვნელობის მამულების განაწილება, განსაზღვრა და ის მამულები, რომელთაც აქვთ ადგილობრივი და არა სახელმწიფო მნიშვნელობა უნდა გადაეცეს ადგილობრივ ორგანოს, ე. ი. მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში მყოფი ადგილობრივი მნიშვნელობის მამულები უნდა გადაეცეს ადგილობრივ ორგანოებს.

ა. კავკასიის ცაკმა ასეთივე კანონი მიიღო მიმდინარე წლის აპრილში და ახლო მომავალში უნდა მოხდეს ეს განსაზღვრა მამულებისა სახელმწიფო და ადგილობრივ მნიშვნელობის მამულებად.

მაშასადამე საკითხი სწყდება კანონმდებლობით და ადგილობრივ ორგანოთ შემოსავლის წყარო უძლიერდება.

ასეთსავე მდგომარეობაშია ადგილობრივი მნიშვნელობის ჩამორთმეული ან მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში მყოფი ამავე მნიშვნელობის საძოვრები. ამ პატარ-პატარა საძოვრების მიზნშეწონილათ სარგებლობა ცენტრიდან შეუძლებელია და მაშასადამე ასეთი მამულებიც უნდა გადაეცეს ადგილობრივ ორგანოს.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ საძოვარი მამულები სადმე გადაცემული იყოს კერძო პირებზედ და ამიტომ ამ კითხვაზედ არ ვჩერდებით.

ეხლა წარმოებებზე.

ვ. ხ—ლი.

---

*) დისკუსიის წესით.

საბჭოთა სინამდვილე და ნოე ჟორდანიას ოცნება

II

აჯანყების „იდეოლოგიის" რევიზია

როგორც ცნობილია (გაიხსენეთ პარიტეტული კომიტეტის დეკლარაცია), მენშევიკები რამოდენიმე წელი ემზადებოდენ აჯანყებისათვის: იღებდენ ფულს, იარაღს, ინსტრუქციებს, „ევროპის" იმედს ჟორდანია-რამიშვილებისაგან. აგვისტოში მათ „დაჭკრეს", სისხლი დაღვარეს. ამ ავანტიურამ აზრთა არევ-დარევა შეიტანა მენშევიკურ ემიგრაციაში. აჯანყების სულის ჩამდგმელებმა და ორგანიზატორებმა უცხოეთიდან, დაინახეს რა მთელი ხალხის აღშფოთება იმ მსხვერპლისათვის, რომელიც მათ შეიწირეს თავიანთი გაბატონების მიზნით საქართველოში, თავიდანვე მოისურვეს ხელის დაბანა. ჯერ გამოაცხადეს: აჯანყება „ჩეკამ" მოაწყოვო. შემდეგ იფიქრეს, ამბების ასეთი „ახსნა" არ ივარგებსო და განაცხადეს, სასწორარკვეთილებამდი მისული „ხალხი" თვითონ აღსდგა ბოლშევიკების წინააღმდეგ და იარაღს სტაცა ხელიო. ორივე შემთხვევაში უარყოფდენ თავიანთ მონაწილეობას ავანტიურაში, ჩვენ არაფერ შუაში არა ვართო. მაგრამ გარდა იმისა, რომ ჩვენ თავის დროზე გამოვაქვეყნეთ ჟორდანიას წერილი, სადაც ის ფართო გეგმებს უშლიდა თავის მიმდევრებს საქართველოში აჯანყების შესახებ, გარდა იმისა, რომ დამტკიცდა ემიგრანტების მატერიალური და ტეხნიკური დახმარება, გარდა იმისა დაბოლოს, რომ, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, თვით პარიტეტჩიკებმა დაადასტურეს ეს თავის დეკლარაციაში, გარდა ყოველივე ამისა ჩვენ გამოვაქვეყნეთ ნოე რამიშვილის წერილი, სადაც ის ჟორდანიას სახელით მიმართავდა თავის აგენტებს საქართველოში და ურჩევდა მათ, რომ რადგანაც ბრძოლა წაგებულია, მოაწყვეთ მაინც პარტიზანული გამოსვლები, ააფეთქეთ, დაანგრიეთ ხიდები, გზები და სხვ., რომ მიიქციოთ „ევროპის" ყურადღებაო. ასეთი ფაქტების შემდეგ და კიდევ იმის შემდეგ, რაც ჟორდანია დღეს თავის ბროშიურის უმთავრეს ნაწილს უძღვნის ავანტიურის, „პუჩის" (ამ გერმანულ სიტყვას ავტორი იმეორებს) გამართლებას—ყოველივე ამის შემდეგ ცხადი ხდება „უცხოელების" სიყალბე და თვალთმაქცობა. მაგრამ დაინახა რა რომ მთელი ჩვენი ხალხი აღშფოთდა ამ ავანტიურისათვის პასუხისმგებელი პირებით, ჟორდანია სცდილობს დღეს რევიზია უყოს აჯანყების იდეოლოგიას. აჯანყების დამარცხებიდან მას გამოჰყავს „ერთად ერთი ტაქტიკური დასკვნა—პოლიტიკური ხაზის გაგრძელება, სამხედრო ხაზის გადასინჯვა" და ილაშქრებს იმ „ახალ მოდის ლიკვიდატორების" წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფენ როგორც ერთს, ისე მეორეს. ავტორი სწერს სიტყვა-სიტყვით შემდეგს:

„ერთი აშკარაა, 28 აგვისტოს გამოსვლა აღარ უნდა განმეორდეს; იმან ითამაშა თავისი როლი და კიდევ ასეთ როლში საქართველო აღარ საჭიროებს"-ო.

მაშ რას ურჩევს ის თავისიანებს?

„ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი ძირითადი მდგომარეობა და იქიდან გამოვდიოდეთ—ეს გახლავს მოსკოვის ქვეყნათ განმარტოება, მისი და მსოფლიოს დაპირდაპირება. საბჭოთა წყობილების დაცემაში მარტო საქართველო (!) რომ იყოს დაინტერესებული, ჩვენი საქმე ყინულზე იქნებოდა დაწერილი და არც ასეთი თამასუქით სოციალ-დემოკრატია იანგარიშებდა. ნამდვილათ კი მის დაცემაში დაინტერესებულია მთელი ქვეყანა, ყველა სახელმწიფო, თვით რუსეთის ხალხი (!!), და, საშასადამე, ჩვენ ჩინებულ კამპანიაში ვიმყოფებით"-ო.

რა არის ამაში ტყუილი და რაა მართალი?

ტყუილია და სიცრუე ის, თითქოს საქართველო, თითქოს „თვით რუსეთის ხალხი" დაინტერესებულია საბჭოთა წყობილების, საბჭოების დაცემაში. ეს დაამტკიცა „რუსეთის ხალხმა" არა ერთ და ორ შინაურ და საგარეო ფრონტებზე, როდესაც ის შემოკრბა რევოლიუციის და საბჭოთა დროშის გარშემო შინაური კონტრ-რევოლიუციისა და უცხოეთის ბურჟუაზიის ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველათ და გასამარჯვებლათ. თვით ჩვენი მტრები, უცხოეთის ბურჟუები და მათი პოლიტიკოსები არ იყვნენ, რომ ამბობდენ, რომ განსაცდელის ჟამს მთელი რუსეთის ხალხი გაჰყვა ბოლშევიკებს და საბჭოთა ხელისუფლებას და რომ კომპარტია გამოვიდა მთელი ერის წინამძღოლი და მებაირაღტრეო? თვით ჩვენი მტრები, უცხოეთის მქონებელი კლასების პოლიტიკოსები და ბელადები არ არიან, რომლებიც ურჩევენ თავიანთ ქვეყნების სამხედრო კამარილიებს და უკიდურეს ფაშისტურ ელემენტებს, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება კიდევ უფრო განამტკიცებს ბოლშევიკების მდგომარეობას, რადგან არა მარტო მთელ მშრომელ ხალხს, რომელიც მიჰყვება მათ, არამედ თვით მათდამი მტრულათ განწყობილ საზოგადოებრივ წრეებს და ჯგუფებსაც ეს გარემოება შემოჰკრებს კომუნისტების ირგვლივ უცხოელთა შესევის წინააღმდეგო?

ყოველივე ეს იცის ჟორდანიამ, მან იცის ის, მისთვის არა სასიამოვნო, ფაქტიც, რომ ქართველი ხალხი დღეს საბჭოების ჩამოგდებაზე კი არ ფიქრობს (რაც მან სწორეთ აგვისტოსექტემბრის დღეებში საქმით დაამტკიცა), ის აჯანყებებზე და ამნაირათ რამიშვილ-ჟორდანია-კედიას გაბატონებაზე კი არ ოცნებობს, როგორც ეს ჰგონიათ ჭკუანაღრძობ ემიგრანტებს სენის ნაპირებზე, არამედ იმაზე, რომ მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობით მან სავსებით ისარგებლოს საბჭოების მიერ შექმნილ შინაურ, საკავშირო და საერთაშორისო პირობებში, თავის ცხოვრების მოსაწყობათ, ტანზე ჩასაცმელათ, გასაძღომათ, მატერიალური და კულტურული დოვლათის დასაგროვებლათ, ახალი, შრომის სამეფოს, სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლათ. ამაზე ფიქრობს ის, ამაზევე ფიქრობს „რუსეთის ხალხი", ამაზე ფიქრობენ მშრომელი ხალხი და განთავისუფლებული ერები ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირისა. ეს შეიგნეს და შეითვისეს მთელი მსოფლიოს მშრომელებმა, ეს გაიგეს თუმცა დიდი გაჭირვებით ითვისებენ ამას თვით უცხოეთის გაბატონებული კლასების ჭკუიანი წარმომადგენლებიც, მაგრამ ეს ვერ გაიგეს, ამ აზრმა ვერ შეანგრია სქელი შუბლები უცხოეთში გადაბარგებული ავანტიურისტებისა, ყოველ შემთხვევაში ვერ შეურიგდენ ამას საქართველოს კონტრ-რევოლიუციონური ემიგრანტები. მათ ელანდებათ, ეჩვენებათ, რაც იყო-ამერი ფიქრობს სულ მუდამ მათზე, სიზმრათაც იმას ხედავს, რომ, აი ჩამოვიდენ და ქართველი გლეხი გაიბედნიერეს კედიამ, ფარცხალავამ და რამიშვილ-ჟორდანიამ.

მაგრამ ოცნების და ტყუილების ხუხულაში ნ. ჟორდანიამ აქა-იქ, უნდა ვაღიაროთ, სიმართლეც ჩაურთო.

რაში მდგომარეობს ეს სიმართლე? იმაში, რომ უცხოეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ჩვენ არ ვეპაჭნიკებით, არ მოვწონვართ, ჩვენ ისინი გვმტრობენ. გვებრძოდენ იარაღით—ცხვირპირ გალესილები გავისტუმრეთ. მოგვიწყვეს ეკონომიური ბლოკადა—ეს ბლოკადაც გავარღვიეთ. დაგვიწყეს ჯერ შორიდან ღრენა, მერე საუბარი „ურთიერთობაზე",—ჩვენც ვუპასუხეთ. ასე მიდის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". ჩვენი მტრები საქმის ხალხია და ჭკუიანი ხალხიც. არც ჩვენ ვართ ჭკუაზე მწყრალათ. მათაც და ჩვენც ვიცით რა გვინდა, საიდან მოვდივართ და საით, რა გზით მივიმართებით და თუ მიუხედავათ ამისა ისინი „დე-ფაქტოდან" „დე-იურეზე" გადავიდნენ—ეს როდი მოწმობს იმას, რომ „ბოლშევიკური რეჟიმის სტაბილიზაცია არ მომხდარა" როგორც ამაზე ნ. ჟორდანია ოქროპირობს თავის ბროშიურაში.

ამნაირათ ჩვენ არ უარვყოფთ, ნ. ჟორდანიასთან ერთად, რომ ჩვენი მტერია საერთაშორისო რეაქცია. მაგრამ ჩვენი მტერია ჟორდანიაც. ჭეშმარიტათ, რომ ჟორდანია და მისი ამალა „ჩინებულ კამპანიაში" იმყოფებიან. ეს მათი ნებაა. მაგრამ ერთი კითხვით ამ გზა-კვალ აბნეულებს, რა შუაშია აქ „რუსეთის ხალხი", რა სახსენებელია აქ მუშურ-გლეხური საქართველო, ნამდვილი, რეალური საქართველო და არა ის, რომელიც „აშენებულია" სენის ნაპირებზე თუ პარიჟის მიდამოების რომელიღაც ეილ მი?

ბოლშევიკური რეჟიმის სტაბილიზაცია ვერ მოხდებაო—გვაშინებს ჟორდანია. რატომ? იმიტომ, რომ „სახელმწიფო, რომელიც არ სცნობს ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ სისტემას—უნდა დაინგრეს"-ო. როგორც ეტყობა, ბოლშევიკური რეჟიმის სტაბილიზაციის შესახებ ჩვენ ვერ მოვთხოვთ ჟორდანიას იმავე აზრს, რომელიც შეადგინეს საბჭოთა სახელმწიფოებზე მათი არსებობის შვიდი წლის შემდეგ თვით ჩვენმა სერიოზულმა და შეურიგებელმა მტრებმა. ემიგრანტებს უფლება აქვთ სილაში ჩაალაგონ თავები და იფიქრონ, რაც მათ მოეხალისებათ და ესიამოვნებათ. მაგრამ ამით ისინი ვერ შესცვლიან ფაქტს ჩვენი შინაური ეკონომიური და პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის თანდათანი განმტკიცებისას.

ეჭვს გარეშეა, სიძნელეს წარმოადგენს ორი სისტემის თანაარსებობა. ეს ცხადია. მაგრამ ჟორდანიას არგუმენტაცია—ჟორდანიულია, მენშევიკურია, რეაქციონურია.

ბურჟუაზიული ევროპა არ „სცნობდა" ფეოდალურს. პირველი ორი „წოდება" არ სცნობდა „მესამეს" მაგრამ ახალმა გაიმარჯვა. რა ისტორიულ საბუთებს ემყარება ჟორდანია, როდესაც „მეოთხე წოდებას" და მის საბჭოთა სახელმწიფოებს უსპობს ისტორიულ უფლებებს ბრძოლისა და გამარჯვებისას? არავითარ საბუთებს. ემყარება მხოლოთ თავის სურვილს. ერთი გერმანული ანდაზის არ იყოს, სურვილი მამაა მისი აზრების. მაგრამ ერთია ეს სურვილი, ერთია ნ. ჟორდანიას ტკბილი ოცნება და მეორეა ოქტომბრის რევოლიუციის სინამდვილე, ჩინი საბჭოთა სინამდვილე.

ნ. კ—ძე.

ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში

შანხაიში სამხედრო წესები არ მოუხსნიათ

შანხაიში დაწყებულ მოძრაობას გამოეხმაურენ პეკინელი სტუდენტებიც

ქალაქში უცხოელი ჯარების და პოლიციის დიქტატურაა გამეფებული

შანხაიში დახურულია ჩინელთა ყველა დუქნები და სასურსათო მაღაზიები.—ელექტროსადგურები ალყაშემორტყმულია უცხოელთა პოლიციით.—ფიქრობენ, რომ ჩინელი პოლიციელები შეუერთდებიან საყოველთაო გაფიცვას.—პეკინში 10.000 სტუდენტმა დემონსტრაცია მოაწყო.—საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს შანხაიში დაწყებულ მოძრაობას.

სერიოზული მომენტი

პეკინი, 3 ივნისი. შანხაიში სამხედრო წესები გრძელდება. ქუჩაში სიარული 8 საათის შემდეგ აკრძალულია. ჩინელების ყველა მაღაზიები, სასურსათო დუქნები და ბაზრები დახურულია. იჭყება სასურსათო კრიზისი.

რათა თავიდან აეცილებია ელექტრონის სადგურების მუშათა გაფიცვა უცხოეთის პოლიციამ ალყა შემოარტყა სადგურებს და არავის არ უშვებს შიგ. მნიშვნელოვან პუნქტებს იცავენ ევროპის და ამერიკის პოლიციელები, რომელთა შორის მრავალი რუსი—თეთრგვარდიელია.

ზოგიერთი ჩინელი პოლიციელები, რომელთაც ბრალად ედებათ საპროტესტო მოძრაობისადმი თანაგრძნობა, უკვე დაპატიმრებული არიან; ფიქრობენ, რომ ჩინელების პოლიცია შეუერთდა საყოველთაო გაფიცვას.

10.000 სტუდენტი-დემონსტრანტი

პეკინი. 3 ივნისი. 3 ივნისს პეკინში გაიმართა სტუდენტთა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. დემონსტრანტებმა დელეგაცია გაუგზავნეს დუან-ძი-ჟუის მოთხოვნილებათა გადასაცემათ. დელეგატები მიიღეს მინისტრებმა, რომლებმაც აღუთქვეს, რომ მოთხოვნილებათა უმრავლესობას მხარს დაუჭერს მთავრობაო.

შემდეგ დემონსტრანტების ნაწილი შეეცადა შესულიყო ელჩთა ქუჩაზე, მაგრამ იქ დაუყოვნებლივ იქნა დახურული კარები. დიპლომატიურ კვარტალს იცავდენ ჩინეთის და უცხოეთის ჯარების რაზმები.

საზოგადოებრივი აზრი მოძრაობას უჭერს მხარს

პეკინი, 3. ივნისი. ჩინეთის მთელი პრესა მხარს უჭერს საპროტესტო მოძრაობას. **„ჩინბაო" სწერს: „ინგლისი სცდება, თუ ფიქრობს, რომ შეუძლია ჩინეთს იხივე მოეპყრას, როგორც ინდოეთს, ეგვიპტეს და სხვა კოლონიებს.**

ინგლისის და იაპონიის დეპეშათა სააგენტოები სცდილობენ გაამართლონ მკვლელობა და ბრალს სდებენ სტუდენტობას მღელვარების წაქეზებაში. ისინი ჩქარა უწოდებენ მათ ბოლშევიკებს. ისინი სარგებლობენ ამ სიტყვით, რათა შეაშინონ უცხოელები საზღვარ-გარეთ, რომელთაც არ იციან საქმის ნამდვილი ვითარება. მაგრამ სტუდენტები—ბოლშევიკები კი არა, არამედ ჩინეთის პატრიოტები არიან".

„ამერიკენ პეკინ ლიდერიც" კი სწერს: „მიუხედავად ინგლისის და იაპონიის სააგენტოების მიერ გავრცელებული ხმებისა, არ შეიძლება გამართლებული იქნეს პოლიციის მოქმედება. უცხოელებმა უნდა დაგმონ პოლიციის მოქმედება შანხაის უცხოელების კვარტალში".

ასეთივე მოძრაობას ჩინეთში ხომ ადგილი ჰქონდა მაშინაც კი, როდესაც ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყვნენ კომუნისტები. კერძოთ შანხაი ასეთი ამბების მოწამე იყო ჯერ კიდევ 1748 წელში, 1853 წ., წარსული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში და ბოქსერთა აჯანყების დროს 1900 წელში. მართალია ეხლანდელ მოძრაობაში არის რაღაც ახალი და ეს ახალი რამ გამოიხატება იმ როლში, რომელსაც თამაშობს თანამედროვე ნაციონალისტურ მოძრაობაში ჩინეთის ახალგაზრდა პროლეტარიატი.

საერთოდ, ეს მოძრაობა ზოგიერთი თავისი ნიშნებით მოგვაგონებს იმ ამბებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1905 წლის იანვარ-ოქტომბერში რუსეთში, როდესაც მუშების და კაპიტალისტების ნაწილობრივი შეტაკება გადაიქცა საერთო სახალხო მოძრაობათ, რომელმაც პირველი იერიშები მიიტანა მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. იანვარს მოჰყვა ოქტომბერი. მუშებთან ერთად მოძრაობაში ებმებიან ხალხის და წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასები, შემდეგ კი ისტორიის მძიმე ქვეითა ჯარი—მრავალმილიონიანი გლეხობა, რომელიც ფართო ხასიათს აძლევს რევოლიუციონურ მოძრაობას.

ეხლა ჩინეთში ბრძოლა სწარმოებს არა კომუნიზმისათვის, არამედ ნაციონალური განთავისუფლებისათვის. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ პერიოდშიაც კი მუშები დიდ როლს თამაშობენ, საწინდარია იმისა, რომ ჩინეთის მშრომელი მასები შესძლებენ დაიცვან თავისი საკუთარი ინტერესები როგორც უცხო მტაცებლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის ეპოქაში, ისე იმ ეპოქაშიაც, როდესაც ისინი იძულებული იქნებიან გამოვიდენ თავისი საკუთარი პროგრამით მშრომელთა იმ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ ჩინელი კაპიტალისტები და მემამულეები".

ჩინეთის იანვარი

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 4 ივნისი. „იზვესტია" წერილში „ჩინეთის იანვარი" სწერს: „შანხაიში მომხდარ ამბების შესახებ იაპონიის ელჩმა იოშიზავამ სთქვა, რომ მთელი ეს მოძრაობა გამოიწვიეს კომუნისტებმა. ეს, ერთის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის ახალგაზრდა კომპარტიას მეტათ დიდ მნიშვნელობას აძლევენ, მეორეს მხრივ კი—სცდილობენ უცხო იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ფართო მოძრაობა ახსნან იმავე ცნობილი „კომუნისტური აგიტაციით" და ამით მიჩქმალონ მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

ახალი ჭორი

მოსკოვი, 4 ივნისი. უცხოეთის გაზეთების ერთი ნაწილი, რომელიც მტრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, ავრცელებს ყალბ ცნობებს, რომ სპარსელ თურქმენთა აჯანყება თითქოს გამოწვეულია საბჭოთა მთავრობის მიერ ან ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, ყოველ შემთხვევაში ისინი მხარს მაინც უჭერენ აჯანყებასო.

„როსტა"-ს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ყველა ეს ცნობები წარმოადგენენ აშკარა ჭორს და რომ საბჭოთა მთავრობას არავითარი კავშირი არა აქვს ამ აჯანყებასთან.

მართვა-გამგეობის ქვედა აპარატის ახალი დებულების შესახებ*)

(შინ. საქ. სახ. კომისარიატის მიერ ამ საკითხზე გამოშვებულ დებულების პროექტის გამო)

მიმდინარე წლის საბჭოთა არჩევნების დროს რაიონული მართვა-გამგეობის სისტემიდან გადავედით თემურ სისტემაზე.

ვინაიდან ყოფილი რაისისტემის დებულება შეუფერებელია თემისათვის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულია თემ-საბჭოს და თემ-აღმასკომის დებულების პროექტი.

ვინაიდან „დებულება"-ს უაღრესი მნიშვნელობა აქვს თემ-საბჭოს და თემ-აღმასკომის ყოველდღიურ მუშაობაში, საჭიროა მისი პროექტის საფუძვლიანი წინასწარი შესწავლა, სანამ იგი კანონმდებლობითი წესით იქნებოდეს დამტკიცებული.

სხვათა შორის, თვით დებულების დეტალიზაციას, მისი მკაფიოდ და გასაგები ენით ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ყველა სათანადო ორგანოს და თანამდებობის პირს კარგად ესმოდეს თავისი უფლება-მოვალეობა და რაიმე გაუგებრობას არ დაურჩეს ადგილი.

შეიძლება სთქვან, რომ დებულება არ არის ცირკულიარული წერილი ან ინსტრუქცია და ამიტომ მისი განმარტება საჭირო არ არისო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც ქვედა აპარატის სათავეში ჯერ კიდევ ვერ გვყავს სათანადოთ მომზადებულ მომუშავეთა კადრი, ადვილი შესაძლებელია დებულებით კოსპექტიურად გამოხატული მისი უფლება-მოვალეობა მან სწორად ვერ გაიგოს. აქ ინსტრუქცია, ცირკულიარული წერილი სქმეს ვერ უშველის, თუ თვით დებულებაში არ იქნება ყველაფერი სრულად და ნათლად აღნუსხული.

ხსენებულ დებულების პროექტში არ არის გათვალისწინებული: 1) თემ-საბჭოსთან სარევიზიო კომისიების არსებობა, 2) სასოფლო საბჭოების უფლება-მოვალეობა, 3) ადგილობრივი მილიციის და თემ-აღმასკომის ურთიერთ ადმინისტრატიული უფლებების დაწვრილებით განსაზღვრა, 4) თემ-აღმასკომს ადმინისტრატიულ დარგში ძლიერ ცოტა უფლებები აქვს დათმობილი და 5) არ არის დეტალურად გარკვეული თემ-საბჭოებთან სექციების (კომისიების მუშაობა.

1) თემის საბჭოს და მისი აღმასკომის მოღვაწეობის კონტროლის გასაწევად საჭიროებას წარმოადგენს სარევიზიო კომისიების არსებობა არა მარტო თემის საბჭოებთან, არამედ სასოფლო საბჭოებთანაც, სადაც კი უკანასკნელნი არსებობენ, რაც უეჭველად ხელს შეუწყობს ჩვენი მართვა-გამგეობის ქვედა აპარატის ყოველდღიურ მუშაობის უფრო ინტენსიურ და სწორ მსვლელობას.

2) მართალია, სოფლის საბჭოები, რაიონულ სისტემიდან თემურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, როგორც მართვა-გამგეობის ქვედა აპარატი, ყველგან არ არსებობენ, მაგრამ თბილისის მაზრაში, ამ უკანასკნელის განსაკუთრებული პირობების გამო, სოფლის საბჭოები, როგორ მართვა-გამგეობის ქვედა აპარატი პრინციპიალურად დატოვებულია უმაღლეს ორგანოების მიერ—თემაღმასკომზე დაქვემდებარებით. ამიტომ სოფლის საბჭოების დებულების შედგენის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს თვით სასოფლო საბჭოების უფლება-მოვალეობის რაც შეიძლება გარკვეულად განსაზღვრას.

3) რაისისტემის დროს დებულებაში მილიციის და რაიაღმასკომის შორის ადმინისტრატიული უფლებების განუსაზღვრელობით გამოწვეული იყო თემში არსებულ ამ ორ საბჭოთა ადმინისტრატიულ ორგანოს მუშაობაში გაუგებრობა. ასეთი გაუგებრობა დღემდე გრძელდება და ამიტომ საჭიროა, რომ ეს საკითხი დებულებით უფრო კონკრეტიულად იყოს გარკვეული და მკაფიოთ განიმარტოს თემაღმასკომის და ადგილობრივ მილიციის ურთიერთ შორის დამოკიდებულება და უფლება-მოვალეობა.

4) დებულების პროექტით თემაღმასკომი ძლიერ ცოტა ადმინისტრატიული უფლებებით არის აღჭურვილი, თემსაბჭოებს და მათ აღმასკომებს, როგორც უმაღლეს ხელისუფლებას თემის ტერიტორიაზე, უნდა დაეთმოს ზოგიერთ დარგებში და კერძოთ კი ადმინისტრატიულ დარგში უფრო მეტი უფლებები, ვინემ ეს არის გათვალისწინებული დებულების პროექტში, ვინაიდან ეს საჭიროა მათზე კანონით დაკისრებულ ყველა მოვალეობის შესასრულებლად.

5) პროექტში არ არის დეტალურად გარკვეული სექციების ორგანიზაციული ჩამოყალიბების და აგრეთვე მათი უფლება-მოვალეობის საკითხი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება. ამ საკითხში უნდა იქნას შეტანილი მეტი სიმარტივე და გარკვეულობა.

კლ. გვალია.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რ ე დ.

ომი მაროკოში

დამნაშავეს ეძებენ

პარიზი, 3 ივნისი. ბურჟუაზიული პრესა, განსაკუთრებით რეაქციონური გაზეთები აღშფოთებული არიან „კომუნისტების გამოსვლებით" მაროკოს ომის წინააღმდეგ.

მარსელიდან იუწყებიან, რომ დაპატიმრებული არიან რამოდენიმე პირები, რომელთაც ბრალად ედებათ ბროშიურების გავრცელება. დაპატიმრებულთა ბინაზე ნახული იქნა ასეთი ბროშიურების დიდი რაოდენობა.

კაზაბლანკაში ჩაიდა, პარიზიდან „სპეციალურ კოლონიალურ კომიტეტის" წარმომადგენელი და მოიწყო კომუნისტური უჯრედი, რომელშიაც ვითომდა შედიან საფრანგეთის ადმინისტრაციის მოსამსახურეები.

საიდუმლო ხასიათის დოკუმენტები, რომელიც ეხება საფრანგეთის ჯარების შემადგენლობას, ვითომდა გაგზავნილი იყო ლონდონიდან და გადაეცა აბდ-ელ-ქერიმს.

მორიგი მასხარაობა

პარიზი, 3 ივნისი. იარაღით ვაჭრობის საკონტროლო კონფერენციაზე ამერიკის წარმომადგენელმა ბერტონმა გაილაშქრა განაპირა სახელმწიფოების დასაცავად სპეციალურ ზომების წინააღმდეგ. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლის თანახმად ესტონეთს, ფინეთს, ლატვიას, პოლონეთს და რუმინეთს უფლება ენიჭებათ სათანადო შეიარაღება შეიტანონ, სანამ საბჭოთა კავშირი შეუერთდებოდეს კონფერენციას.

ოსმალეთის და ჩინეთის წარმომადგენლები იცავდენ საბჭოთა კავშირს.

პირველმა განაცხადა, რომ კონფერენცია საკმარისად ვერ აფასებს საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან ზრახვებს.

მეორე მოითხოვდა, რათა ყოველი მთავრობა, რომელიც ცნობილია სახელმწიფოების ერთი მესამედისაგან, აღიარებულ იქნას კანონიერად.

იურიდიულმა კომისიამ შეიტანა წინადადება შეზღუდული იქნას მახრჩობელა გაზების და მიკრობების გატანა და ხმარება. მაგრამ სამხედრო კომისიამ ამის წინააღმდეგ გაილაშქა და აღნიშნა, რომ შეუძლებელია აკრძალული იქნას ასეთი საშვალების ხმარება. კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, როცელშიაც იგი ფორმალურად გმობს ქიმიურ ომს, გამოსთქვამს სურვილს საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ, რომლის თანახმად აკრძალული იქნება ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საშუალებანი ომის დროს.

ფაშიზმი ინგლისში

პოლიციელები უშედეგოდ თავდასხმა.

გლაზგო, 3 ივნისი. 2 ივნისს პოლიცია თავს დაესხა იმ დარბაზს, რომელშიაც სწარმოებდა ინგლისის კომპარტიის ქალთა განყოფილებების კონფერენცია. პოლიციას უნდოდა გამოერკვია, რომ კონფერენციას ესწრებიან უცხოეთის დელეგატები. **პოლიციის რაზმის გამოჩენისთანავე ქალები ფეხზე წამოდგენ ინტერნაციონალის ხიმღერით. პოლიციელებმა მოითხოვეს დელეგატების გვარების სია, რაზედაც ქალებმა უარით უპასუხეს. პოლიცია გავიდა დარბაზიდან ისე, რომ ვერ გამოარკვია დამსწრეების გვარები და ვერავინ დააპატიმრა.**

უკანასკნელი ცნობები

იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება დამტკიცებულია

რომი, 3 ივნისი. 3 ივნისს იტალიის პარლამენტში იხილავდენ საკითხს 1924 წ. 7 თებერვალს რომში იტალია-საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ.

მუსოლინმა წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ იტალიის ფაშისტურმა მთავრობამ იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი, რადგანაც „საერთოდ ფაშიზმის სურვილია სისწორით გამოარკვიოს და გააუბრალოოს ურთიერთობა და იგი გაურბის გაურკვევლობას". მუსოლინმა ხაზგასმით აღნიშნა: დღეს ყველასათვის ნათელია, რომ შეუძლებელია ამჟამად უარის თქმა სავაჭრო ხელშეკრულებაზე, სადამდისაც მივიყვანა საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობამ. სავაჭრო ხელშეკრულება გრძელდება აგერ 15 თვეა და ვადა მიუდის 20 თვეში.

მუსოლინის აზრით სავაჭრო ხელშეკრულების შედეგები დამაკმაყოფილებელია. 1913 წელში რუსეთმა გაიტანა იტალიაში 73.000.000 მან. საქონელი, იტალიამ კი შეიტანა რუსეთში საქონელი არა უმეტეს 16.000.000 ლირის ღირებულებისა. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 30 აპრილამდე რუსეთის მიერ შემოტანილ საქონლის ღირებულება გამოიხატა 19.000.000 ლირაში, იტალიის მიერ საბჭოთა კავშირში შეტანილ საქონლის ღირებულება კი 17.000.000 ლირაში. ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ დაბრკოლებანი ორივე მხარის შორის ადვილად დაიძლევა.

„ცხადია — სთქვა მუსოლინმა — საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლია აძნელებს იტალიასთან სავაჭრო ურთიერთობას, სადაც ასეთი მონოპოლია არ არსებობს. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან საბჭოთა კავშირთან მოვაჭრე ყველა ქვეყნები. თუ ამ ქვეყნებში შეუძლიათ დაიტრაბახონ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის უფრო დიდი ციფრებით, ეს იმას ამტკიცებს, რომ მონოპოლია ხელს არ უშლის სავაჭრო ინტერესებს.

საბჭოთ მთავრობას განზრახვა აქვს გააუმჯობესოს ჩვენი სავაჭრო ურთიერთობანი: ოფიციალურად გვაუწყეს, რომ საბჭოთა შესყიდვის გეგმით ამ უახლოეს ფინანსიურ წელში გათვალისწინებულია იტალიიდან უფრო მეტი საქონლის გაზიდვა, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი წარსულ წელში.

პარლამენტის მიერ იტალია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ დეკრეტის მიუღებლობას მოყვება მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის შედეგები. **ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა შევიდეთ სხვა ქვეყნებში არსებულ სახელმწიფო წესწყობილების განხილვაში ისევე, როგორც არც მე მივსცემ უფლებას სხვა მთავრობას, რომ ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიოს.** ჩვენ საერთოდ ანგარიში უნდა გავუწიოთ საქმის რეალურ მდგომარეობას: არსებობს 130 მილიონიანი საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც აქვს მეტად ფართო მიწა-წყალი. არ შეგვიძლია რომ ჩვენ ამ სახელმწიფოს გვერდი აუაროთ და უყურადღებოთ დავტოვოთ. თუ სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები სასწრაფოდ იჭერენ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, ჩვენ, რომელნიც ჩვენს თავს ვსთვლით ღარიბ ხალხად, არ შეგვიძლია არ ვიყოთ დაინტერესებული ტერიტორიებითა და ბაზრებით, რომელნიც მომავალში ჩვენ რაიმე სასარგებლოს გვიქადიან".

პარლამენტმა მოისმინა მუსოლინის სიტყვა და დაამტკიცა იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება.

მუქეის დ ხვრეტის წინააღმდეგ

პრაგა, 3 ივნისი. კომპარტია სახელმწიფოს ყოველ კუთხეში აწყობს მიტინგებს კარპატის მხარეში მუშების დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. მიტინგებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელნიც მოითხოვენ დამნაშავეთა დასჯას, პოლიციელებისა და ჟანდარმების გამოწვევას გაფიცვის რაიონიდან, დაპატიმრებულთა განთავისუფლებას და მთავრობის გადადგომას.

ურინში მოეწყო 700 პირის დემონსტრაცია, რაც გათავდა მიტინგით; მიტინგზე მონაწილეობას იღებდა 15.000 კაცი.

სისხლის მორევში

ვენა 3 ივნისი. ირკვევა თეთრი ტერორის შედეგები ბულგარეთში, რასაც ადგილი ჰქონდა სოფიაში მომხდარ აფეთქების შემდეგ.

მარტო ქალაქ სოფიაში დაპატიმრებული იყო 2,000-დე კაცი. ყოველ ღამ ხდებოდა მასიური დაპატიმრებანი ცნობილ კომუნისტებისა და გლეხთა მოძრაობის ბელადებისა, რომელნიც სადღაც მიჰყავდათ საბარგო ავტომობილებით და ჰკლავდენ. მრავალმა პატიმარმა არაჩვეულებრივი წამება განიცადა. წამების გამო მრავალი გაგიჟდა.

ბულგარეთში ცნობილ კომუნისტებისა და გლეხთა პარტიის ბელადებიდან დახოცილი არიან: პეტრიკი, კოსსოვსკი, მწერალი იოსებ გერბსტი, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ყოფ. კორესპონდენტი შაბლინი, ბულგარეთის კომპარტიის დამაარსებელი — ვლადიმერ ბლაგოევის შვილი, პროფმოძრაობის ბელადი იეკო დიმიტროვი, ახკომკავშირის გაზეთის რედაქტორი ტოდორ პავლოვი.

ბულგარეთში

ჯალათები არ ისვენებენ

ვენა, 3 ივნისი. ბულგარეთის სამხედრო მინისტრის განკარგულებით, დააპატიმრეს სოფიის სამხედრო არსენალის გამგე ბრაკალოვი. მას ბრალათ ედება სამხედრო მოწყობილების გადაცემა კომუნისტებისათვის.

ვენა, 3 ივნისი. სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის მთავრობამ, ელჩთა კონფერენციის დადგენილების თანახმად გასცა განკარგულება 10,000 პოლიციელის დემობილიზაციის შესახებ. **დემობილიზაციის წინ მთავრობამ მოახდინა მასიური ჩხრეკა და დაპატიმრებანი. ქუჩები სულ ცარიელია, მაღაზიები დაკეტილია, გაზეთები არ გამოსულან.**

პოლიციის ცნობებით, დაპატიმრებულებს შორის არიან გლეხთა კავშირის წევრები — კომუნისტები, რომელთაც დიდი ხანია დაეძებენ.

პოლონეთის მთავრობა ხელს უწყობდა პროვოკატორებს

ვარშავა, 3 ივნისი. ვინაიდან რატაისკი შეეცადა უარეყო ტუგუტის მიერ მისი გადადგომის შემდეგ გაკეთებული განცხადება, **რომ მთავრობა ხელს უწყობდა საიდუმლო პოლიციის პროვოკაციულ მოღვაწეობას,**—ტუგუტმა გაზეთებში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აღნიშნულია პროვოკატორ ტროიანოვსკის მოქმედებასთან და ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლასთან დაკავშირებული ფაქტები.

ტუგუტი აღნიშნავს, რომ თუ მთავრობას სურს, მას შეუძლია გამოაქვეყნოს მრავალი სხვა ფაქტები და დეტალები, რომლებსაც იცნობს მთავრობა.

სხვა და სხვა ამბები

— **მევალეების სტუმრობა.** ინგლისის პარლამენტის წევრებს, რომლებიც ჩავიდენ პოლონეთში, თათბირი ჰქონდათ პოლონეთის ფინანსიური და სამრეწველო წრეების წარმომადგენლებთან. საზოგადოებაში ხმები დადის, რომ ინგლისის პარლამენტის წევრების სტუმრობას კავშირი აქვს პოლონეთის ცდასთან მიიღოს სესხი ინგლისში.

— **ხმების უარყოფა.** უარყოფენ ხმებს თითქო საბჭოთა გამომცემლობის „კნიგა"-ს განყოფილება ლონდონში სწყვეტს მოქმედებას.

— **ტანჟერში.** ჰავასის სააგენტოს ცნობით, ტანჟერში ძალაში შევიდა შეთანხმება ტანჟერსა და მის მიდამოებში საერთაშორისო მმართველობის შემოღების შესახებ.

— **მხეცური მოპყრობა.** გერმანელ კომუნისტის მარგისის წინააღმდეგ, რომელსაც ლეიპციგის სასამართლომ 15 წლის ციხე მიუსაჯა, ახალი ბრალდებაა აღძრული. ამის გამო ის გადაიყვანეს სასამართლოს ციხეში ველეფელდში, სადაც მისი საქმე გაირჩევა. ციხეში განიზრახეს მისთვის პატიმარის ტანთსაცმელის ჩაცმევა, მაგრამ მარგისმა კატეგორიული უარი განაცხადა. მაშინ ის სრულიად შიშველი დასტოვეს საკანში.

— **იერიშები მუშების წინააღმდეგ.** მწარმოებლები რურის ოლქში მოითხოვენ მუშების ხელფასის შემცირებას 10 პროცენტით პირველი ივნისიდან. ტისსენის კონცერნი ითხოვს 3000 მუშას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საბჭოთა ნახშირი საფრანგეთის ნავთსადგურებში

ოდესა, 3 ივნისი. სტამბოლიდან მარიუპოლში გავიდა საფრანგეთის გემი, რომელიც მარსელისათვის წაიღებს 4.000 ტონ ნახშირს. ეს — საფრანგეთის პირველი გემია, რომელსაც მიაქვს ნახშირი საფრანგეთის ნავთსადგურებში.

დახმარება ქვრივებს და ობლებს

მოსკოვი, 2 ივნისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა დაადგინა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლოს სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს დაღუპულ მუშაკების ქვრივები და ობლები.

საქმე ეკონომიურ ჯაშუშობის შესახებ

ეკატერინოსლავი, 4 ივნისი. 3 ივნისს დაიწყო დნეპრის ქარხნის მოსამსახურეების საქმის გარჩევა; მათ ბრალათ ედებათ ეკონომიური ჯაშუშობა. ბრალდებულთა სკამზე ზის 20 კაცი, უმთავრესათ, ინჟინრები, ტეხნიკოსები, და ბუხჰალტერები. გამოწვეულია 19 მოწმე.

მუშების გამოგონება

ოდესა, 4 ივნისი. მუშებმა შარგოროდსკიმ და ვერდინმა გამოიგონეს სწრაფად მომქმედი ასოების მბეჭდავი ტელეგრაფის აპარატი, რომელიც უშვებს და ღებულობს 2000 ნიშანს წუთში. ტელეგრაფის მუშაკთა სპეციალურმა კომისიამ სცნო ეს ძალიან ძვირფას გამოგონებად.

საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა სოფლად

ამხ. რიკოვის მოხსენება

სას.-სამ. კოოპერაციის რწმუნებულთა თათბირზე

მოსკოვი. 4 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა თათბირის 3 ივნისის სხდომაზე ამხ. რიკოვმა მოხსენება გააკეთა მთავრობის პოლიტიკის შესახებ სოფლად და იმ იდეების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია გლეხთა კოოპერაციის განვითარებასთან.

თავის მოხსენებაში რიკოვმა აღნიშნა, რომ გლეხთა კოოპერაცია გახდა მთელი საბჭოთა და პარტიული მუშაობის ყურადღების მთავარ ცენტრათ. „აუცილებელია — განაცხადა მან, — რომ კოოპერაცია სოფლათ დაეწიოს ქვეყნის საერთო ეკონომიურ ზრდას. სამომხმარებლო კოოპერაციამ გადალახა ომის წინა ხანების ნორმა როგორც წევრების საერთო რაოდენობით, ისე თავისი ბრუნვით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას კი ჰყავს 3 მილ. წევრი 12 მილიონის ნაცვლად, რომელიც იყო ომამდი.

საბჭოთა რუსეთის პირობებში კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე ეს იყო ცარიზმის დროს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ სახელმწიფო მას გაუწევს საჭირო დახმარებას.

მთავარი პასუხისმგებელი საბჭოთა ხელისუფლების მიერ კოოპერაციის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ხართ თქვენ, კოოპერაციის მოღვაწეები. თქვენ მუშაობაზე იქნება აგრეთვე დამოკიდებული მთელი სოფლის მეურნეობის აღდგენის სისწრაფეო", — სთქვა ამხ. რიკოვმა.

„კოოპერაცია სოფლათ უნდა გახდეს მთელი გლეხობის ორგანიზაციის იმ სისტემათ, რომლის საშუალებითაც ის შეკავშირდა, როგორც მიწის მუშა და რომლის საშუალებითაც ის დააგროვებს დოვლათს, რასაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის აღდგენა. ამიტომ კოოპერაციამ გაცილებით უკეთესათ და უფრო იაფათ უნდა იმუშავოს. მან საგრძნობი დახმარება უნდა გაუწიოს ღარიბ და საშუალო გლეხს.

სოფლის კოოპერაციის მეორე ამოცანაა სოფლის მოსახლეობის თანხების ჩაბმა კოოპერაციაში. ამისათვის საჭიროა, რომ დაცული იქნეს ანაბარების საიდუმლოება, რომ იყოს გარანტია იმისა, რომ მიბარებული თანხები ყოველთვის ხელუხლებლივ იქნება შენახული, რომ გლეხობას შეუძლია მათი უკანვე მიღება, როდესაც მოისურვებს. კანონი ამის შესახებ უკვე მუშავდება და ახლო ხანში გამოქვეყნდება.

რომ გლეხთა მეურნეობა დაუკავშიროთ მსხვილ საქალაქო მრეწველობას, ფინანსებს და სხვა, — საჭიროა გლეხობის შეკავშირება და გაერთიანება კოოპერატივებში. თავდაპირველათ კი საჭიროა, რომ გლეხობა ნდობით მოეკიდოს კოოპერაციას და ის თავის საკუთარ ორგანიზაციათ მიიჩნიოს".

მოხსენების გამო გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ ისინი მზათ არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მუშათა და გლეხთა მთავრობას მის მუშაობაში, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღდგენა და სოფლის კოოპერაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

რუსეთის სახ. განათლების კომისარიატის მუშაობა

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

მოსკოვი, 4 ივნისი. 29 მაისს გაიმართა სახ. კომისართა საბჭოს სხდომა საგუბერნიო, სამაზრო და სათემო აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სახ. განათლების კომისარიატის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ლუნაჩარსკიმ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განათლების ფრონტზე მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, მაინც მძიმე მდგომარეობაა. განათლების საქმეს აფერხებს ფინანსიური ხელმოკლეობა.

სახ. განათლების კომისარიატისათვის ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ" — ფრიად მნიშვნელოვანია. ეს იქიდანაც სჩანს, რომ სახ. **განათლების ბიუჯეტში ქალაქზე იხარჯება 35 პროც., სოფელზე კი — 45 პროც.**

35 გუბერნიაში სკოლების რიცხვი უკანასკნელ წელს გაიზარდა 19 პროცენტით, ხოლო მოწაფეთა რაოდენობა 50 პროცენტით.

სოფლის მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა ისევ მძიმეა. მასწავლებელი იძულებულია თავი ირჩინოს სასოფლო მეურნეობით. **ამიტომ სოფლის მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენს მორიგ ამოცანას წარმოადგენს.**

5 წლიანი სოფლის სკოლები და მეორე საფეხურის სკოლები არ აკმაყოფილებს გლეხობას, რადგან ამ სკოლებში მიღებულ ცოდნას ახალგაზრდობა ვერ იყენებს გლეხის ცხოვრებაში. ამის გამო ეს სკოლები უნდა იქნას შეცვლილი გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებით, რომელიც მისცემს სოფელს კოოპერატორებს, მეურნეობის მცოდნეებს და საერთოდ სოფლის ინტელიგენტებს სასოფლო-სამეურნეო მომზადებით.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების რიცხვი წელს 2 ჯერ გაიზარდა.

38 გუბერნიაში გახსნილია 23.000 პუნქტი უცოდინართათვის და 1.434 სკოლა ნაკლებ მცოდნეთათვის. მაგრამ **ეს სკოლები მესამედია იმისა, რაც გათვალისწინებული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო გეგმით.** საჭიროა გადადებული იქნეს ფულის თანხები როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, ვინაიდან 17 მილიონი ახალგაზრდისათვის წერა-კითხვის სწავლება — უდიდესი ამოცანაა.

წარმატებით მიდის სოფლად კინემატოგრაფიის საქმე. შარშან ნოემბერში სოფელში ნაჩვენები იყო 310 კინო სურათი, ეხლა კი აპრილში — 640 სურათი.

პირველი საფეხურის სკოლები ქალაქში 3.347-ს უდრის 50 გუბერნიაში. მათში სწავლობს 660.000 ახალგაზრდა.

მეორე საფეხურის სკოლებში საქმე უფრო ცუდათ მიდის. განსაკუთრებით ძნელია პრაქტიკულად გადაწყვეტა საკითხის 9 წლედში და უკანასკნელი კლასის მოხსნის და მთელი პროგრამის 7 წლედში მოთავსების შესახებ.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს — მოსწავლეთა რიცხვი იქ უდრის 113.000 კაცს, აქედან 22 პროც. მუშაა და 25 პროც. გლეხი.

ბოლოს ლუნაჩარსკი ეხება რეფორმებს, რომელიც გატარებულია საკანონმდებლო გზით: სამაზრო სახ. განათლების განყოფილებათა გაუქმება როგორც დამოუკიდებელი განყოფილებისა. მომხსენებელს შეცდარად მიაჩნია ეს რეფორმა, რადგან იგი უარყოფით მოვლენას ახდენს სახ. განათლებაზე. ლუნაჩარსკის საჭიროდ მიაჩნია ამ განყოფილებათა ხელახლა აღდგენა.

კამათი ლუნაჩარსკის მოხსენების გამო. ქრუპსკაიას სიტყვა.

„მე მომდის გლეხთა ახალგაზრდობისაგან აუარებელი წერილები, სადაც ნათქვამია, რომ გლეხობის მასები იცხადებენ სურვილს მონაწილეობა მიიღონ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობაში როგორიც არის: ქოხ-სამკითხველოები, სკოლები, წითელი კუთხეები და სხვ. საჭიროა მიღებული იქნას ზომები გლეხთა ინიციატივის გასაძლიერებლად. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც გლეხობა თავის ხარჯით ხსნის სკოლას და იწვევს მასწავლებელს, მაგრამ სამაზრო სახ. განათლების განყოფილება წინდაწინ სთხოვს განსაზღვრულ თანხებს. ასეთი პოლიტიკა სწორი არ არის".

შემდეგ კამათში მონაწილეობას იღებენ წარმომადგენლები ადგილებიდან — **ვოროტნიცკი, ივანოვი, ლავრენჩევი, სტარიკოვი და სხვ.** ისინი აღნიშნავენ ფულის თანხების ნაკლებობას და სასკოლო შენობების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას, სახელმძღვანელოების ნაკლებობას და თანხების არა თანასწორად განაწილებას ქალაქსა და სოფელს შორის.

სახ. კომისარიატების წარმომადგენლები შეეხენ, უმთავრესად, სახ განათლების კომისარიატის პოლიტიკას.

შემდეგ **ლუნაჩარსკი ამბობს საბოლოო სიტყვას.** არჩეული იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც ლუნაჩარსკის მოხსენების გამო შეიმუშავებს რეზოლიუციას ადგილების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ღორების ჭირი

ერევანი, 31 მაისი. შამშადინის და დილიჟანის ოლქებში გაჩდა ღორების ჭირი. სიკვდილიანობა ჯერჯერობით მცირეა. ავადმყოფობის წინააღმდეგ მიღებულია ენერგიული ზომები.

გვალვა.

ერევანი, 31 მაისი. მეგრინის მაზრიდან იტყობინებიან, რომ მთიან ნაწილებში დაიწყო ძლიერი გვალვა. ნათესებს ხიფათი მოელის.

სალერბო გადასახადისაგან განთავისუფლება.

მოსკოვი. 2 ივნისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა სალერბო გადასახადისაგან გაანთავისუფლა სოფლის მშრომელი მოსახლეობის შუამდგომლობანი მათთვის სატყეო მასალის მიცემის შესახებ შეღავათიან პირობებში საკუთარი საჭიროებების და შინამრეწველობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ეკონომიური ცხოვრება

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საქმიანობა

საქართველოში საკრედიტო ამხანაგობების მოწყობა დაიწყო წ. წ. ივლისიდან. პირველ ამხანაგობამ სესხის მიცემა დაიწყო 16 აგვისტოდან; აქედან მოკიდებული პირველ ივნისამდე უნდა დაარსებულიყო 126 ამხანაგობა. ჯერ-ჯერობით კი დაარსებულია 116, რომელთაგან რეგისტრაციაში გატარებულია 115. აღნიშნულ ამხანაგობათ ძირითადი თანხების სახით უნდა მისცემოდათ 406.500 მან. მაგრამ მიეცათ მხოლოდ 113 ამხანაგობას — 399,500 მ. ძირითადი თანხები ამხანაგობებს ეძლევათ ერთი წლის განმავლობაში უპროცენტოთ, ხოლო ამის შემდეგ იხდიან ექვს პროცენტს. გარდა ამისა, ეძლევათ მოკლევადიანი სესხები გლეხებისათვის მუშა-საქონლის შესაძენათ, საქონლის საკვებისათვის, წყლის გამოსაყვანათ და სხვადასხვა, რა მიზნითაც დაახლოვებით გაცემულია 600.000 მ.

დახმარება საწამლე მასალით

მიმდინარე წლის მარტიდან პირველ მაისამდე საკრედიტო ამხანაგობებს მთელს საქართველოში, წევრებზე გასანაწილებლად გადაეგზავნათ 15.195 ფუთი გოგირდი და 29.000 ფუთი შაბიამანი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების განაწილება

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიიღო და გაანაწილა 380 ცალი შაბიამნის სასხურებელი და 100 ცალი გოგირდის საბერველი „ვერმორელის სისტემისა". ამასთანავე მიღებულია გასანაწილებლად ფარცხი — 100 ც., თოხები — 396 ც. სიმინდის სათესები — 19 ც., ამერიკული სათიბები — 15 ც., ხორბლის სარკვევი — „ტრიერები" — 9 ც., სეპარატორები — 10 ც., ტრაქტორები 14 ც. და შუშხუნები — 13.000 ცალი თავის მოწყობილობებით.

ტრაქტორები განაწილებულია შემდეგნაირად: ერთი „ჰოლტი"-ს სისტემის ტრაქტორი გადაეცა მიწ. მოქ. სახ. კომის. ტრაქტორისტების სკოლას, 1 „ფორდზონი"-ს ტრაქტორი — ახალგავაზის ამხანაგობას კახეთში, ერთი ლანჩხუთის გლეხკომს, ერთი სასოფლ. სამეურნეო ამხანაგობა „მდელოსს", ხოლო დანარჩენი ნაწილდება დაინტერესებულ საკრედიტო ამხანაგობათა შორის.

საკრედიტო ამხანაგობათა აპარატი.

საკრედიტო ამხანაგობების აპარატი ასეთნაირადაა მოწყობილი: ადგილები ყოველთვიურად ადგენენ ბანკში ანგარიშებს და ცნობებს იმის შესახებ, თუ რა და რა მიზნებისათვის არის გაცემული სესხი. ბანკის ცენტრში ჰყავს სამი ინსტრუქტორი, რომლებთაც დანაწილებული აქვთ რაიონები და უკეთებენ რევიზიას, რისთვისაც ბანკთან არსებობს სპეციალური ინსპექცია.

ამასთანავე თვითეულ რაიონს ჰყავს თავისი ინსტრუქტორი, რომელთა რაოდენობა მთელ საქართველოში უდრის ექვსს. წარმოდგენილ ანგარიშებიდან და ადგილებზე წარმოებულ რევიზიიდან სჩანს, რომ იქ მუშაობა წესიერად მიმდინარეობს.

დასასრულ უნდა ავღნიშნოთ, რომ გლეხები დიდის ნდობით და სიყვარულით ეპყრობიან საკრედიტო ამხანაგობებს.

ხორცის კრიზისი კოოპერატიულ ბაზარზე

ამ ორი თვის წინად დაწყებული კრიზისი ხორცის ბაზარზე ამ უკანასკნელ დრომდეც გრძელდება. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი კოოპერაცია ხორცის ვაჭრობის საქმეში კერძო ბაზართან შედარებით.

ამ ჟამად კოოპერაცია ვერ აკმაყოფილებს თავის წევრთა საჭიროებას ვერც ხორცის რაოდენობით, ვერც ღირსებით.

ხორცის ფასები ბაზარზე განიცდის რყევას 11 მანეთიდან 14 მანეთამდე ფუთი, ამასთანავე 11 მანეთად იყიდება ცუდი ღირსების მჭლე, სიმსუქნეს მოკლებული ხორცი.

ამავე დროს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ფუთ ხორცზე ბითუმად ვაჭრობის დროს დაწესებული აქვს 1 მანეთი 60 კაპ. ამ დადგენილების ძალით ხორცით მოვაჭრე უდიდესი სახელმწიფო ორგანიზაცია „მიასოტორგი" ვალდებულია დაუთმოს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ფუთი ხორცი 10 მან. 60 კაპიკათ. ამიტომ „მიასოტორგი" იძულებული ხდება იმ მიზნით, რომ ზარალი არ ნახოს, რაც შეიძლება ნაკლებ ფასად შეიძინოს ცუდი ღირსების ხორცი. ვინაიდან ყველაზე უფრო ცუდი ხორცი 11 მანეთზე ნაკლები არ ფასობს, „მიასოტორგი" ველარ ამზადებს ხორცს იმ რაოდენობით, რომ დააკმაყოფილოს მასთან დაკავშირებული ყველა კოოპერატიული ორგანიზაცია. ამ გარემოების შედეგი კი არის ის, რომ კოოპერატივები ვეღარ აკმაყოფილებენ თავის წევრთა ყოველდღიური საჭიროების ერთს მესამედსაც კი და ამასთანავე თითქმის ყოველთვის საყვედურს ღებულობენ წევრებისგან ხორცის ცუდი ღირსებისათვის.

კოოპერატივს თანდათან შორდება ხორცის მუშტარი, რადგან მუშა, რომელიც ხორცს მხოლოდ ორჯელ ყიდულობს კვირაში, ამჯობინებს 5 კ. მეტი მისცეს კერძო ვაჭარს, ვიდრე იყიდოს უვარგისი ხორცი კოოპერატივში.

რაც შეეხება კერძო ვაჭრობას, იგი დაუბრკოლებლად სწარმოებს. კერძო ვაჭარი საშუალო და კარგი ღირსების ხორცს ყიდულობს ფუთს 12—14 მანეთად, ჰყიდის 14—16 მანეთად და შესამჩნევ მოგებას ნახულობს (5—10 კაპიკს გირვანქაზე).

ბითუმად ხორცის ვაჭრობას ეწევიან აგრეთვე კოოპერ. ორგანოები „წარმოკავშირი", „წითელი ქართლი" და „დახმარება", რომელნიც ფუთს ხორცს ბითუმად ყიდიან 11—14 მანეთად. ძირითად კოოპერატივებს შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ტაქსის გამო (გირვანქა ხორცი 30 კაპიკია) საშუალება არა აქვთ ზემოხსენებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან შეიძინონ ხორცი ზემოაღნიშნულ ფასებში. ამიტომ ბითუმად მოვაჭრე კოოპერატიულ ორგანიზაციების ხორცი გადადის კერძო ვაჭრების ხელში, რომელნიც გირვანქა ხორცს 35—40 კაპიკად ჰყიდიან.

დახმარება საქართველოს სასოფლო მეურნეობას

ა|კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის გადასდო 161.250 მანეთი.

საქართველოს საგეგმო კომისიამ ეს თანხა გაანაწილა რესპუბლიკის შემადგენელ ავტონომიურ ნაწილებს შორის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით.

161.250 მანეთიდან — 64.500 მანეთი ანუ 40 პროცენტი გადადებულ იქნა მევენახეობის საჭიროებისათვის, 40.312 მანეთი ანუ 25 პროცენტი მესაქონლეობისათვის, რესპუბლიკის სახალხო მამულების საჭიროებისათვის 32.250 მანეთი ანუ 20 პროცენტი, სამეურნეო საქონლის შესაძენისათვის გლეხებზე სესხის გასაცემად 24.188 მანეთი ანუ 15 პროცენტი.

საქართველოს რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილებს — მთავარსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ზემოხსენებული თანხა შემდეგნაირად იქნა განაწილებული: საქართველოს მიეცა 138.670 მანეთი ანუ 86 პრ., აფხაზეთს — 11.200 მან. ანუ 7 პრ., აჭარისტანს — 7.250 მან. (4,5 პრ.) და სამხრეთ ოსეთს — 4.050 მან. (2,5 პროც.).

სანერგეების მოწყობა

მებაღეობას და კერძოთ, მეხილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიური ცხოვრებისათვის. მოსახლეობა ძალიან ეტანება ხეხილების გაშენებას, მაგრამ, სამწუხაროდ, სანერგეების სიმცირის გამო მოსახლეობის მოთხოვნილება ამ მხრივ დაუკმაყოფილებელი რჩება. მოთხოვნილება ნერგებზე ძალიან დიდია. ამ საქმის მოგვარებას, სანერგეების მოწყობას ხელი მოჰკიდა წარმოკავშირმა საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კონტროლის ქვეშ. მუშაობა მშვენივრად მიმდინარეობს. ამას გარდა სამაზრო აღმასკომებმაც მოაწყვეს სანერგეები მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. ყველაზე დიდი მათ შორის არის ნოსირის სანერგე სენაკის მაზრაში. ამას გარდა უნივერსიტეტმაც მოაწყო თავის მამულში სანერგე, რომელიც შემოდგომისათვის მოგვცემს 2,400,000 ცალ ნერგს, საიდანაც 100,000 ცალი დამყნილი იქნება, დანარჩენი კი გაიყიდება. ამ საქმის მოწყობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალისტების ხელმძღვანელობით იკისრა აგრონომების შრომის ამხანაგობამ. მებაღეობის და ტროპიკულ კულტურების დარგებში აგრონომიულ ღონისძიებათა ჩატარებას ძალიან აფერხებს ის გარემოება, რომ მეურნეობის ეს დარგები არ არის შესწავლილი საქართველოს პირობების მიხედვით.

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მებაღეობის ბიურო დიდ ყურადღებას აქცევს ამას. ამჟამად ბიურო კრებს მასალებს საქართველოს ეკონომიურ და ბუნებრივ-ისტორიულ თავისებურობათა შესასწავლად.

განსაკუთრებულ მნიშვნელოვან რაიონებში მიემგზავრებიან პირობების შესასწავლად მებაღეობის დარგში მომუშავე სპეციალისტები, რომლებიც ადგილებზე ამასთან ერთად გამართავენ საუბრებს მებაღეობის შესახებ.

მევენახეობა კახეთში

კახეთში მევენახეობის აღდგენის საქმეში წელს დიდი როლი ითამაშეს ვენახების სანერგეებმა. მათ შორის ყველაზე შესანიშნავია კონდოლის სანერგე, რომელმაც უკვე დაამზადა 80.000 დამყნილი ვაზი. ეს ვაზები დამზადებულია რიხტერის ახალი წესის მიხედვით, რომლითაც დამყნის შემდეგ სამი კვირის განმავლობაში ხდება სრული შეზრდა. დამზადებული ვაზები დაურიგდება გლეხებს და სახალხო მამულებს შაურად თითო. განზრახულია ამ დამყნილ ვაზების გაგზავნა საქართველოს ყველა რაიონებში. უნდა აღინიშნოს, რომ რიხტერის წესით დამყნილი ნერგები ერთი შაურით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ძველი წესით დამყნილი.

სამელიორაციო მუშაობა

ნაგომარის და ბახვის რაიონის მორწყვა

ამ ერთი თვის წინად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამელიორაციო განყოფილებამ გურიის ზოგიერთ რაიონების მელიორაციის საკითხის გამოსარკვევად გურიაში გაგზავნა ინჟ. ჰიდრავლიკოსი ეძგვერაძე.

გლეხები უკვე შესდგომიან არხის გაყვანას ბახვის რაიონში. თუმცა ეს რაიონი არაა ღარიბი ატმოსფერულ ნალექებით, მაგრამ ატმოსფერულ ნალექებს ადვილი აქვთ არა ვეგეტაციურ პერიოდში, რის გამო წყალი უსარგებლოდ იკარგება.

სპეც. ჰიდრავლიკის დასკვნით, ბახვის რაიონი აუცილებლად საჭიროებს მორწყვას.

რაც შეეხება ნაგომარის რაიონს, აქ არხის გაყვანას აქვს სხვა დანიშნულება. გლეხებს სურთ მდინარე კალამზადან გამოიყვანონ არხი იმ მიზნით, რომ მდინარის შლამით გაანოყიერონ თავისი ყანები.

ჰიდრავლიკ ეძგვერაძის მიერ გამოტანილ დასკვნით არხის გაყვანა ნაგომარის რაიონში აუცილებლათ საჭიროა და ამავე დროს ტეხნიკურად შესაძლებელია.

არხის გამოყვანა განზრახულია მდინარე კალამზიდან, რომლის წყალიც იმარაგებს ნაგომარის რაიონის ყველა ყანების (5,500 დესეტინა) მოსარწყავად.

არხისათვის საჭირო იქნება ხელოვნური ნაგებობანი: აშენებული უნდა იქნეს პატარა ქაშხალი, სათავე შლიუზით, 5—6 საჟენით სამი აკვედუკი და 9 პატარა ხიდი. გარდა ამისა ნაგომარის მიდამოების ხელსაყრელი ტოპოგრაფიული პირობების გამო ადვილია წყალვარდნის მიღება, რაც საშუალებას იძლევა აშენებულ იქნეს 500 ცხენისძალიანი ჰიდრო-ელსადგური, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის.

პარტიული ცხოვრება

ცენტრ. პარტიულ სკოლის კურსანტების გამოშვებისათვის

ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი სოფლათ. საჭიროა იქ ახალი ამხანაგების გაგზავნა მუშაობის გასაღრმავებლად, კერძოდ პარტუჯრედების მუშაობის გასაჯანსაღებლად. მე 17 ე პარტ-კონფერენციამ აღნიშნა: „საჭიროა გაიგზავნოს ქალაქიდან სოფლად მომუშავეთა ახალი კადრი — 6,000 საიმედო მომზადებული ამხანაგი". ამ დადგენილების შესრულება პარტიას პირველ რიგში აქვს დაყენებული. დასახულ ამოცანის განსახორციელებლად მთავარ წყაროს შეადგენენ სხვადასხვა კომუნისტური სასწავლებლები და მათ რიცხვში ცენტრ-პარტ-სკოლაც, რომელიც თავის არსებობის ორი წლის თავზე, ამ დღეებში, პირველად ახდენს კურსდამთავრებულთა გამოშვებას. აღნიშნულ სკოლაში მოგროვილი ამხანაგები მუშურ-გლეხური მასის წიაღიდან არიან გამოსული. იმათ უშუალო კავშირი აქვთ გლეხობასთან, მათში მუშაობდნენ. მხოლოდ საჭირო ცოდნა აკლდათ, რის შესავსებათ წამოვიდენ აღნიშნულ სასწავლებელში.

ეხლა ასე თუ ისე ცოდნით შეიარაღებულნი, დიდის აღფრთოვანებით უბრუნდებიან იმ ხალხს, რომლიდანაც გამოვიდნენ, და იმ მოვალეობის ასრულებას, რომელსაც მათ პარტია და მუშურ-გლეხური მასსა ავალებს.

ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება პარტიამ და მისმა ორგანოებმა, რათა არც ერთი კურსდამთავრებული ამხ. არ დარჩეს სამუშაოს გარეთ, ან არ დარჩეს ისეთ ადგილზე, სადაც მათ საშუალება არ ექნებათ გლეხობაში იმუშაონ.

ამხ. კვირინგი გაზ. — „პრავდა"-ში ეხება სოფელში სამუშაოდ გადასაგზავნ ამხ. ამხ. მომზადებას და აღნიშნავს: „საჭიროა სოფელში მიმავალ მუშაკმა იცოდეს მიწის კოდექსი, ტყის კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, უკანასკნელი დეკრეტები — სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, მუშა-ხელის დაქირავების შესახებ და სხვა"-ო. ჩვენი კურსანტები საკმაოდ არიან გაცნობილი ამ საკითხებს და სხვა პრაქტიკულ საკითხებსაც, აგრეთვე თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას. ასე რომ ამ ხალხს აქვს საკმაო მომზადება გლეხობაში სამუშაოთ, აქვთ სამისო ენერგია. მხოლოდ საჭიროა მათი მიზანშეწონილად გამოყენება, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ პარტორგანიზაციებმა.

სალამი ახლად კურსდამთავრებულ პარტმუშაკებს.

ი. მ—ძე.

ქალთა შორის მომუშავეთა გადასამზადებელი კურსები დამთავრდა

ქალთა შორის მომუშავეთა გადასამზადებელი კურსები, რომელიც იყო გახსნილი ა|კ. ქალთა განყ. ინიციატივით ა|კ. მასშტაბით ა|წ. 1-ლ თებერვლიდან, დამთავრდა ა|წ. 20 მაისს.

კურსების შემადგენლობა მუდმივი მსმენელების სახით 15 იყო, ხოლო თავისუფალი მსმენელები 15, — სულ 30 ქალი. გავდიოდით შემდეგ საგნებს: 1) პოლიტიკური ეკონომია, 2) ეკონომიური გეოგრაფია, 3) საბჭოთა აღმშენებლობა, 4) პარტიული აღმშენებლობა, 5) ქალთა მოძრაობის ისტორია, 6) პარტიის ისტორია, 7) კანონმდებლობა, 8) ქვეყნიერების ისტორია, 9) კულტურული მუშაობა სოფლად და 10) ქალთა შორის მუშაობის ფორმები და მეთოდები.

გვყავდა წრის ხელმძღვანელი, რომლის დახმარებით ვამუშავებდით ლექტორების მიერ გადმოცემულ მასალებს.

ყველა ამ საგნების ძირითადი დებულებანი საკმაოდ შეითვისეს მსმენელებმა. საგნებთან შეფარდებით ხდებოდა ექსკურსიები მინდვრად და დაწესებულებებში, რითაც უფრო ღრმავდა მსმენელების მსოფლმხედველობა.

კურსებს ჰყავდათ განსაკუთრებული მეთვალყური — გამგე, რომ[illegible] რე და ტეხნიკურ და მატერიალურ მხარეებს კურსებისას.

მსმენელები ყოველგვარად უზრუნველყოფილნი ვიყავით. დიდის ენერგიით ვაწარმოებდით მეცადინეობას და გამოცდებიც სასურველად ჩავაბარეთ თითქმის ყველამ.

კურსების დამთავრების შემდეგ საქართველოში მომუშ. ამხ. გადავედით ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყ. განკარგულებაში, მივიღეთ იქედან თვითეულ ჩვენთაგანმა ორ-ორი კვირის შვებულება, ე. ი. 21 მაისიდან 5 ივნისამდე, რის შემდეგ მოხდება მომუშავეების განაწილება საქ. მასშტაბით.

კურსანტ-ქალების სახელით ულრმეს მადლობას უძღვნი ა|კ. ქალთა განყოფილებას ამხ. ზავარიანის სახით, რომელსაც [illegible] მიყრუებულ მაზრებში მყოფ ქ. შ. მომ. ცოდნით შეიარაღება; ამასთანავე ყველა ლექტორებს. განსაკუთრებული დაფასების ღირსია ჩვენი მსმენელებისაგან კურსების გამგე — ამხ. ზ. ჩიხლაძისა, რომლის სახეზედაც არა ერთჯერ ამოუკითხავს თვითეულ ჩვენთაგანს ამხანაგური მოპყრობა ჩვენდამი; მან დიდი ენერგია დახარჯა ჩვენი კურსების ნაყოფიერად ჩატარებაში.

ჩვენი ვალი არის დავაფასოთ ამ ადამიანების მიერ გაწეული შრომა ჩვენზე, გავამართლოთ პარტიის იმედები სოფლად მუშაობის დარგში.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საჭიროა ასეთი კურსების გახსნა საქართველოს მასშტაბით.

ი. ყრუაშვილი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედში

ა. წ. 1 ივნისს შესდგა სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული ღია კრება, რომელსაც დაესწრნენ უპარტიო ამხანაგებიც.

დღის წესრიგში იდგა ამხ. მიშა ოკუჯავას მოხსენება „სოფლად მუშაობის შესახებ".

ამხ. ოკუჯავამ მეტად ვრცლად გაშუქა სოფლად მუშაობის საკითხები.

კერძოდ კი მან აღნიშნა გლეხობის როლი რევოლიუციაში და ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორ უყურებდენ მენშევიკები გლეხობას.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თუ ჩვენ შევძლებთ სოფლად საწარმოო ძალების განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების აღორძინებას მაშინ ჩვენ უფრო მეტად განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, რომელიც საწინდარია მსოფლიო ოქტომბრის რევოლიუციისა.

გლეხობის საკითხი — ეს მეტად დიდი საკითხია. ჩვენ ამას სწორი ალღო უნდა ავუღოთ.

სოფლად ჩვენ გვაქვს ფრიად საგრძნობი მიღწევები, — სთქვა მომხსენებელმა, მაგრამ ამასთანავე მრავალი დეფექტებიც. ჩვენ ყოველ — მიზეზს გარეშე უნდა გამოვასწოროთ ეს დეფექტები.

და ამას კიდევაც ვასწორებთ და სწორედ ამაშია ჩვენი დადებითი, ძლიერი მხარე, რომ ჩვენ ვგრძნობთ შეცდომებს, ვაღიარებთ მას და მის აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებსაც ვღებულობთ.

ბელი შეჩერდა აგრეთვე ის საკითხზედაც, უმთავრესად კი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა წეს-წყობილებაში კოოპერაციას სოციალიზმის დამყარების საერთო საქმეში.

გლეხი რომ მჭიდროდ დაუკავშირდეს მუშას — ამბობს ამხ. მიშა, — ამისათვის აუცილებლად საჭიროა ქალაქის ეკონომიკას მჭიდრო კავშირი ჰქონდეს სოფლის მეურნეობასთან. ამ შემთხვევაში კოოპერაცია, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ზემოაღნიშნულ ამოცანის სათანადოთ გადასაწყვეტად.

ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ" ამასთანავე ერთად მოითხოვს იმასაც, რომ ჩვენ გავაჩაღოთ და გავაცხოველოთ კულტურული მუშაობა სოფლად. სოფლის გლეხკაცობა აქტიურად უნდა ჩავაბათ ამ მუშაობაში. ისინი უნდა დავრაზმოთ ქოხ-სამკითხველოების, კლუბების და სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელ ცენტრების გარშემო, რათა ამით ავამაღლოთ მათი გონებრივი განვითარების დონე, რომლის გარეშე შეუძლებელია ახალი სოფლის, ახალი ქვეყნის შენება.

დასასრულ ამხ. ოკუჯავა შეჩერდა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი მუშაობა სოფლად, რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება, როგორია პარტიის უახლოესი ამოცანები და სხვა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ფრიად სასარგებლო იქნება, რომ ხშირად კეთდებოდეს ამ [illegible] ხასიათის მოხსენებები.

ვ. მახა

ს. ს. ს. რ. ს. ... სახელმწ. ... ბიბლიოთეკის

სააგარაკო სეზონისათვის

აგარაკი წყალტუბო

სამკურნალო სეზონი წყალტუბოს რადი-აქტიურ წყლებზე გაიხსნა პირველ მაისს. მაგრამ მაისის განმავლობაში წყალტუბოში სამკურნალოდ ჩავიდა ავადმყოფთა მცირე რიცხვი. ყოველდღიურად აგარაკზე იყო მხოლოდ 60 კაცი. წყალტუბოში ავადმყოფთა მიუსვლელობის ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს მისვლა-მოსვლის მოუწესრიგებლობა. წყალტუბოში მიმავალი გზები საშინელ მდგომარეობაშია.

გზების შესაკეთებლად გადადებულია 64 ათასი მანეთი. ამ თანხიდან კურორტთა მთავარმა სამმართველომ გადასდო 15 ათასი მანეთი, დანარჩენი 49 ათასი მანეთი სახელმწიფო და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. მიუხედავად ამისა გზების შეკეთება ჯერ არ დაუწყიათ.

გასული წლის სააგარაკო სეზონში წყალტუბოს რადი-აქტიური წყლებით იმკურნალა 7 ათასმა ავადმყოფმა. მიმდინარე სეზონშიაც მოსალოდნელია ავადმყოფთა დიდი რიცხვი, რაც აუცილებელ ბინის კრიზისს გამოიწვევს. აგარაკზე არის შენობები სადგომი ბინით მხოლოდ 80—100 კაცისთვის. ჩამოსულ ავადმყოფებს უხდებათ ან ახლომახლო სოფელში დაბინავება გლეხების ოჯახებში, ან დროებით კარვების მოწყობა.

წელს აგარაკზე გაიხსნა გაზეთების კიოსკი, მაგრამ მოგვარებული არ არის გაზეთების რეგულიარული მიწოდება გზების უვარგისობის გამო. სხვა საგანმანათლებლო-კულტურული დაწესებულება (ბიბლიოთეკა, კლუბი, სამკითხველო) აგარაკზე არ მოიპოვება.

საქართველოს გზა-ტკეცილები

საუბარი საქ. გზატკეცილთა სამმართველოს უფროს ინჟინერ კორინთელთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, ამხ. კორინთელმა, საქ. გზატკეცილთა შესახებ შემდეგი განაცხადა:

— ჩვენში არსებულ გზატკეცილების შეკეთების და ახალი გზების გაყვანის საქმე ფართე ნიადაგზეა დაყენებული.

არსებულ გზატკეცილებიდან სწარმოებს შემდეგი გზების შეკეთება:

თბილის-კოჯორ-მანგლისის გზა

თბილის-კოჯორის გზაზე დაზიანებულ ადგილებში სწარმოებს გზის გატკეპნა. მუშაობა დამთავრდება საკურორტო სეზონის დაწყებისას. კოჯორ-მანგლისის შორის სწარმოებს მუშაობა ხაზისა და ხიდების ასაშენად.

თბილის-ვეჯოგდალის გზა.

ამ მიმართულებით მიმდინარეობს გაძლიერებული მუშაობა გზის შესაკეთებლად—სწარმოებს გზის მოქიშვა და გატკეპნა. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს ბორჩალოს აღმასკომიც.

თბილის-თელავის გზა.

მიღებულია ზომები მთელი გზის სიგრძეზე თავისუფალ საურმე მიმოსვლისათვის და მსუბუქ ავტომობილის უზრუნველსაყოფად.

წნორისწყალ-სიღნაღი, წნორისწყალ-ლაგოდეხი.

დამთავრდა ხიდის გამაგრება მდ. ალაზანზე და მიმდინარეობს მუშაობა მთელი გზის სისწვრივ თავისუფალ მოძრაობის გაუმჯობესებისათვის.

ქუთაისი ონი, ონი-მამისონის უღელტეხილი

როგორც ქუთაისიდან-ონამდე, ისე ონიდან-კურორტ „შოვ"-ამდე, მთელ გზაზე სწარმოებს გზის შეკეთება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფალი მიმოსვლა ურმით და მსუბუქ ავტომობილებით.

ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმანი.

ახალციხე - აბასთუმანს შორის სწარმოებს მთელი გზის გატკეპნა დაზიანებულ ადგილებში, დანარჩენ ადგილებში კი მიმდინარეობს შეკეთება.

ახალციხე-ახალქალაქს შორის გზას უკეთდება რემონტი—მიმოსვლის თავისუფლად საწარმოებლად.

შავი ზღვის გზატკეცილი.

ახალსენაკ-ინგურის მიმართულებით, შენდება ორი ახალი ხიდი და სწარმოებს დანარჩენების შეკეთება.

სურამი—ძირულა.

ამ გზას აქვს სიგრძე 52 ვერსი, რომლის პროექტი შედგენილი გზატკეცილთა სამმართველოს მიერ—საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა; აქ უკვე მიმდინარეობს მუშაობა ერთის მხრიდან და ახლო ხანში, რათა გზა მალე იქნას გაყვანილი, იწარმოებს მუშაობა ორთავე მხრიდან—სურამიდან და ძირულიდან.

ავტონომიურ რესპუბლიკების გზები

აჭარისტანი.

წლევანდელმა უჩვეულო თოვლმა სასტიკად დააზიანა ბათუმ-ხულო-გოდერძის უღელტეხილის გზა და ამის გამო აქ მიმდინარეობს ნამქერებისა, ჩამონგრევისა და მეწყერებისაგან დაზიანებულ ადგილების შეკეთება, რომლის დამთავრების შემდეგ შესაძლო გახდება თავისუფალი მგზავრობა.

აფხაზეთი

ინგურ-სოხუმსა და სოხუმ-პილენკოვოს შორის, ზოგიერთ უბნებში ადგილი აქვს მიწის ჩამონგრევებს, რის გამო გზატკეცილთა სამმართველო, მოძრაობის უზრუნველსაყოფად აწარმოებს ამ ადგილების შემოფარგვლა-გამაგრებას.

სამხრეთ ოსეთი

გორი-ცხინვალი, ცხინვალი-ჯავა, ჯავა-როკი.

გორი-ცხინვალის გზის შეკეთება-აშენების საქმე ეხლახან გადაეცა გზატკეცილთა სამმართველოს და უკვე სწარმოებს იქ მუშაობა მოძრაობის აღსადგენათ.

ცხინვალ-ჯავის გზას აქვს სიგრძე 20 ვერსი; მისი აშენების პროექტი შეადგინა სამმართველომ.

ჯავა-როკას შუა—26 ვერსის მანძილზე სწარმოებს სრულიად ახალი გზატკეცილის გაყვანა.

ახალ გზების გამოძებნა

— გარდა აღნიშნულ მუშაობისა,—განაცხადა ბოლოს ამხ. კორინთელმა,— ჩვენ ვაწარმოებთ ახალ გზების გამოძებნას. ამ მიზნით ახალციხის მაზრაში სწარმოებს დათვალიერება—ახალციხე-ურაველის გზისა, რომელზედაც მიზნად გვაქვს დასახული—მოეწყოს საურმე მიმოსვლა.

მეორე დათვალიერებითი მუშაობა მიმდინარეობს, ბუნარ-გოდერძის უღელტეხილის შორის დანგრეულ უბნის (სიგრძით 5 ვერსი)—აღსადგენად.

ამავე დამთვალიერებელთ დავალებული აქვთ აღადგინონ მოძრაობა ადიგენ-გორთუბანის (ახალც. მაზრა) შორის, 25 ვერსის მანძილზე.

ამ ჟამად ეწყობა და ახლო მომავალში გაიგზავნება ადგილზე გამომკვლეველთა დიდი ჯგუფი, სვანეთში ბეჩო-ჯვარის გზატკეცილის და სვანეთის გულის მესტიის გამოსაკვლევათ.

ქ.

საქარ. სახ. კომისართა საბჭოში

კურორტი აბასთუმანი.

რადგან კურორტი აბასთუმანი თავის ტერიტორიის სიმცირის გამო ვერ იტევს ჭლექით ავადმყოფთ, ხოლო იქ წასასვლელ ნებართვას თხოულობენ მრავალი ჯანსაღებიც, წინადადება მიეცა ჯანსახკომისარიატს კურორტ აბასთუმანში წასასვლელი ნებართვა მისცეს პირველ რიგში ჭლექით ავადმყოფთ.

დახმარება ალაგირელ ლტოლვილთ.

საკავშირო ცაკის მიერ ალაგირელ ლტოლვილთათვის გაღებული 100.000 მანეთი განაწილებულ იქნა ლტოლვილთა შორის სამეურნეო იარაღების და სხვა საჭიროებისათვის. განაწილება დაევალა შინსახკომს, რომელსაც წინადადება მიეცა სასწრაფო წესით შეადგინოს განაწილების პროექტი.

დახმარება ლანჩხუთის კოოპერატივს.

ლანჩხუთის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოებას მიეცა სესხად სახკომსაბჭოს თანხებიდან 7.000 მანეთი.

თბილისის კომუნალური ბანკის შუამდგომლობა.

თბილისის კომუნალური ბანკის შუამდგომლობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორში მდებარე ყოფილ სადგილ-მამულო ბანკებში დაგირავებულ მამულების 15-ის ნაწილობრივ ვალის შემცირების და 7-ის სრულიად განთავისუფლების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

საჯარო ვაჭრობის წესი.

იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქციის პროექტი საჯარო ვაჭრობის შესახებ, რომლითაც უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ორგანოთაგან მუშაობის ნარდათ გაცემა და მიწოდებით გაყიდვა, საქართველოს ეკონომიურ საბჭოს შესწორებით დამტკიცებულ იქნა.

„გლეხთა ცენტრალურ სახლის" მმართველობის შუამდგომლობა.

საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ „გლეხთა ცენტრალურ სახლის" მმართველობის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „გლეხის სახლის" გლეხების საქმეთა გამო აღძრულ შუამდგომლობის პირველ რიგში განხილვის შესახებ დამტკიცებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

განათლების ფრონტზე

ხელოვნების სხვადასხვა დარგის სასწავლებლების აღწერა.

განათლების კომისარიატმა დაადგინა მოახდინოს სახელმწიფო, საზოგადო და ყველა კერძო მუსიკალურ, თეატრალურ საცეკვაო, პლასტიური, სამხატვრო და კინო სტუდიების და სასწავლებლების აღწერა, რისთვისაც აღნიშნულ სტუდიების გამგები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ 3 დღის განმავლობაში განათლების კომისარიატში სათანადო ინსტრუქციებისა და ანკეტების მისაღებათ.

სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

განათლების კომისარიატის სამეცნიერო ტეხნიკურ სექციამ გადასწყვიტა პირველ რიგში მოაწყოს ბაღ-ბოსტნის მეურნეობის სკოლები, რომლის მიზანი იქნება მებაღეობის, მეხილეობის და მებოსტნეობის ცოდნის გავრცელება. ამავე დროს აღნიშნულ სკოლებთან გახსნილი იქნება მყნობის, ხილის ტრანსპორტის, კონსერვების დამზადების, ხეხილის წამლობის, მეფუტკრეობის და სხ. კურსები, სადაც გლეხებს უფასოდ ასწავლიან.

ახალი სასწავლებლები.

განათ. კომისარიატს განზრახვა აქვს 5 წლიანი გეგმის მიხედვით გახსნას შემდეგი დარგის საშუალო სასწავლებლები: სასოფლო-მეურნეობის—3 სკოლა, სატყეო—1, მექანიური—2, ელექტროტეხნიკური—1, ქიმიური—2, საამშენებლო—1, საწყლო-სემელიორაციო—1, საფეიქრო—1, სამთომადნო—1 და სამრეწველო ეკონომიური—6 სკოლა.

მომავალი სამოსწავლო წლისათვის.

მაზრობრივ განაწილება

სტუდენტთა მისაღებ ადგილებისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვ. ლენინის სახელ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 1925/26 სასწავლო წელში

№№	რამდენი ადგილი მიეცა	უნივერსიტეტში						პოლიტ. ინსტიტ.		
		სულ	პედაგ.	სოც. ეკონ.	აგრონ.	ვეტერ.	სამკ.	სულ	საინჟ.	სას.-სამეურნ.
1.	ქ. თბილისი და თბილისის მაზრა	100	35	15	20	15	15	80	40	40
2.	გორის მაზრა	40	12	6	10	6	6	3	2	1
3.	დუშეთის მაზრა	10	5	1	2	1	1	—	—	—
4.	ბორჩალოს "	10	5	1	2	1	1	2	1	1
5.	ახალციხის "	5	1	1	1	1	1	5	2	3
6.	ახალქალაქის "	5	1	1	1	1	1	5	3	2
7.	თელავის "	30	8	6	.		5	5	2	3
8.	სიღნაღის "	30	8	6	6	5	5	5	3	2
9.	ქუთაისის "	50	20	7	10	6	7	10	5	5
10	შორაპნის "	40	12	6	10	6	6	—	—	—
11.	რაჭის "	15	7	2	4	1	1	—	—	—
12.	ლეჩხუმის "	10	4	1	1	2	2	—	—	—
13.	ოზურგეთის "	40	10	6	8	8	8	—	—	—
14.	ზუგდიდის "	20	6	4	6	2	2	—	—	—
15.	სენაკის "	30	8	4	6	6	6	—	—	—
16.	ფოთის "	15	3	3	3	3	3	5	2	3
17.	აჭარისტანის	15	3	3	2	4	3	10	5	5
18.	აფხაზეთის	5	1	1	1	1	1	10	5	5
19.	სამხრეთ-ოსეთი	5	1	1	1	1	1	10	5	5
		475	150	75	100	75	75	150	75	75

ამიერ-კავკასიის ცაკში

დასაზღვევი ტარიფი.

ამიერ-კავკ. ცაკმა მიიღო დადგენილების პროექტი სოც. დაზღვევის ტარიფის შესახებ.

აღმშენებლობის მიზნით

ქ. შემახის მცხოვრებლებს ა/კ. ცაკის დადგენილებით მიენიჭათ შეღავათები გადასახადებში.

საკავშირო უზენაესი სასამართლო.

ა/კ. ცაკმა სასურველათ სცნო საკავშირო უზენაესი სასამართლოს მორიგი პლენუმი მოწვეული იქნას თბილისში.

ლენინის ნაწარმოებთა

გამოსაცემათ საკავშირო ცაკის მიერ გადადებული 15 ათასი მან. ა/კ. ცაკმა გაანაწილა საქართველოსა, სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის.

სამხედრო კომისარიატების რეორგანიზაცია.

ა/კ. ცაკმა წინადადება მისცა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ცაკებს, სამხედრო კომისარიატების ტერიტორიალურ ნაწილების სამმართველოთ გადაკეთების შესახებ.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა კომისარიატის განმარტება

„მმაჩ"-ის ადგილობრივ ორგანოებს მოსდით შეკითხვები, აკრძალული აქვთ თუ არა ეკლესიების მსახურთ სარწმუნოებრივ წესების (ნათვლა, დასაფლავება და სხვა) შესრულება, სანამ მოქალაქეობრივი მდგომარეობის ესა თუ ის აქტი არ იქნება ჩაწერილი „მმაჩ"-ის ორგანოებში. ამის გამო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ თანახმად დეკრეტისა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, რელიგიურ წესების შესრულება ეკლესიების მოსამსახურეების მიერ კერძო საქმეს წარმოადგენს, რამდენად ამ წესების შესრულება არ არღვევს არსებულ წესს, ეკლესიის მოსამსახურეებს უფლება აქვთ თავისუფლად შეასრულონ ისინი, მაგრამ მათ არ უნდა მიითვისონ „მმაჩის" ორგანოების ფუნქციები, ე. ი. მათ უფლება არა აქვთ მისცენ ყოველგვარ იურიდიულ ძალას მოკლებული მოწმობები მოქალაქეობრივი მდგომარეობის ამა თუ იმ აქტის შესრულების შესახებ.

— **ახალი წიგნი.** ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ განხილულ - დადასტურებული მოქ. ბესარიონ მჭედლიძის „ქართული საბუღალტრო საფინანსო ტერმინოლოგია".

— **ხანძრის წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა და მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა გამოიმუშავეს სახელმძღვანელო დებულება ტყის ხანძართან საბრძოლველათ.

— **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა ფოთის ჭაობების ამოშრობას. მუშაობა უკვე დაიწყო.

— **ტყიბულის საავადმყოფო.** სოც. დაზღვევის სამმართველომ მიმდინარე წელში ტყიბულის საავადმყოფოს შენახვა დააკისრა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დაზღვეულთა საექიმო ქვე-განყოფილებას.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ დაადგინა ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცეს საქ. სოც. დაზღვევის მე-3 კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში.

— **შეღავათი შრომის კოლექტივებს.** შრომის ბირჟის კომიტეტმა სთხოვა თბილისის აღმასკომს, რომ შრომის კოლექტივებს დაჭერილი დარაბების ქირა შეუმცირდეს მეოთხედით.

— **დოლი** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის დადგენილებით 7 ივნისს დაიხურება.

— **საქონლის ჭირი.** ბორჩალო-ახალქალაქის საზღვრებზე, ლორი-ბამბაკისა და ლენინაკანის მაზრებში გაჩენილია საქონლის ჭირი. განზრახულია შეიკრას ამ მაზრებიდან საქართველოში გადმოსასვლელი გზები.

— **აბრეშუმის წარმოებაში** ამჟამად ჩაბმულია 5,318 კომლი ანუ 6 ათასზე მეტი შინამრეწველი.

— **მეფუტკრეობის მავნეებთან** საბრძოლველად მეფუტკრეობის ბიურომ წელს გადასდო 3,750 მანეთი.

— **„არაზინდოში"** ამჟამად აგზავნიან ავადმყოფების პირველ პარტიას.

— **თბ. დამზღვევმა** სალარომ დაადგინა გაადიდოს ექიმ-კონტროლიორების შტატი.

— **ფსიქიატრიულ ინსტიტუტში** საწოლების რიცხვი გადიდებული იქნა 10 საწოლით.

— **საექიმო დაწესებულებათა** გასაუმჯობესებლათ აპრილში ჯანსახკომმა დახარჯა 4,357 მან.

— **გლეხკომების საწევრო წიგნაკები** იბეჭდება და ახლო ხანში დაიგზავნება ყველა მაზრებში.

— **წითელ-არმიისა და ფლოტის** სახლთან 15 ივნისიდან გაიხსნება სკოლის გარეშე მუშაკთა მოსამზადებელ-გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

ხელოვნება

ჯანაშიას კონცერტი

ახალგაზრდა მომღერალი ჯანაშია, რომელსაც მძლავრი ფართო დიაპაზონის დრამატიული ტენორი აქვს, დიდი ხანია იპყრობს იმ პირების ყურადღებას, რომლებიც დაინტერესებული არიან მუსიკალური განათლების ვოკალური მხარით.

კონსერვატორიის მასწავლებელთა შემადგენლობაში იტალიელი პედაგოგის ბარერის მოწვევის შემდეგ, ჯანაშია გადავიდა მის კლასში.

როგორც ჩანს, ბარერის სწავლების სისტემა არ უდგება ახალგაზრდა მომღერალის ხმას და ვოკალურ ნიჭს, ხმას ყელის ტემბრი ემჩნევა, ტეხნიკა სუსტათ არის განვითარებული, მომღერალს ჯერჯერობით უჭირს ერთი რეგისტრიდან მეორეზე გადასვლა.

ლამაზია მაღალი რეგისტრი, საშუალო რეგისტრს აკლია სიმტკიცე ახალგაზრდა მომღერალმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ხმის სწორად განვითარებას. სიმღერაში საჭიროა თავისუფალი ტეხნიკა, სუნთქვა და დინამიკა. ყველა ამის შეძენა და განმტკიცება აუცილებელია, მხოლოდ ამის შემდეგ განვითარდება ჯანაშიას მძლავრი და ლამაზი ხმა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: მომღერალმა სვანიძემ—ლირიული ტენორი, რომელმაც განსაცვიფრებელი მუსიკალობით შეასრულა ლენსკის არია და არაყიშვილის რომანსი, მომღერალმა ქალმა ოლეინიკოვამ და ბალდასარიანმა.

ოლეინიკოვას საკმაოთ დიდ შედეგებისათვის მიუღწევია რომანსების ლიტერატურის შესრულების სფეროში. ლამაზი და მძლავრი ხმა აქვს მომღერალ ქალ ბალდასარიანს; ის სავსებით მომზადებულია საოპერო მოღვაწეობისათვის.

ორ როიალზე ახალგაზრდა ქართველმა პიანისტებმა მანსვეტაშვილმა და ბალანჩივაძემ შეასრულეს ფინალი მანსვეტაშვილის სიმფონიიდან —„დიდი ოქტომბერი". მღეროდა არტისტი ვენაძე. მშვენივრად უკრავდა სკრიპკაზე ბროდსკი.

პ. ბ.

— „**მნათობი**". გამოვიდა ჟურ. „მნათობი" № 4. შინაარსი: კ. ჭიჭინაძე—მაისში პოეტებს; ვასო გორგაძე პირველი მაისი; რაჟდენ გვეტაძე—მერკვილაძის ტყვია, ს. შანშიაშვილი—სოფელი, პეტრე სამსონიძე—ელვისოს ქარი, ვ. ბესიაშვილი—წარმოკავშირის დელეგატი, ი. ლისაშვილი—გათენებამდის ქალაქში, პოლიკარპე კაკაბაძე—ლისაბონის ტუსაღები, მიხეილ-ჯავახიშვილი—მუსუსი, ბორის პილნიაკი—შიშველი წელი, ანატოლ ფრანსი—ღმერთებს სწყურიათ, დ. კლდიაშვილი—ჩემი ცხოვრების გზაზე, ელისაბედ ყაზბეგი—დიმ. ყაზბეგისა და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები, ნიკო მარრი—ქართველი ერის კულტურული შუქი ენათმეცნიერების მიხედვით, ი. სტალინი—აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანები, ს. დევდარიანი—ორი მიმდინარეობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ს. ქვთარაძე—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, ბიბლიოგრაფია.

სახ. კონსერვატორიის წლიური აქტი.

დღეს, 5 ივნისს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კონსერვატორიის მუშაობის წლიური აქტი. წაკითხული იქნება ერთი წლის საანგარიშო მოხსენება შემდეგ გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ახლად კურსდამთავრებულნი მუსიკის ყველა დარგიდან.

— **ახალი ჟურნალი.** გამოვიდა „პროლემაფის" ქუთაისის განყოფილების ჟურნალი „ოქტომბრის ხვირთი"

— **ოპერის თეატრში** დღეიდან დაიწყება ვიქტორ პეტიპას გასტროლები.

— **ბაღ „არტოში"** 6 ივნისიდან გაიხსნება მუსიკალურ კომედიის თეატრი.

დღეს კინოებში:

— **აპოლო**—„ცხოვრების წყალვარდნილი".

— **არფასტო**—„კინ".

— **სოლეი** „კინ".

— **ეთერი** „კინ".

— **მინიონ**—„მიმზიდველი ცეცხლი".

— **პალას**—„საგანძური ტბის ძირას".

— **არმიისა და ფლოტის კლუბი.** „მისი მოწოდება".

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 3 ივნისს მეთევზე სიმონ ტერესლოვსკიმ თევზაობის დროს მტკვარში იპოვა უცნობი მამაკაცის გვამი, დაახლოვებით 25 წ.

— **ქალის გატაცება.** 25 მაისს დილის 5 საათზე სოფ. ლულების მცხოვრებნი გრიგოლ ჭინჭარა და იოსებ ზარიძე, დაეცნენ ხსენებულ სოფლის ახლოს გზაზედ მიმავალ სამძიმარა ციკლაურს და მის ქალს პელაგიას, რომელიც გაიტაცეს ტყეში და გააუპატიურეს. ბოროტმოქმედნი შეიპყრეს.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 2 ივნისს ღამით მსროლელთა ქ. № 20 გაქურდეს დავით სამადაშვილის ბინა, წაიღეს 100 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ვერის დაღმართი № 29 ივანე კალატოზოვის **ბინიდან** მოიპარეს 208 მ. ნივთები.

— **ქურდი ქალი.** 2 ივნისს შეიპყრეს მარიამ ბერძენიშვილი, რომელსაც ბრალდება ქალ. 1-ლ საავადმყოფოში მოსამსახურე თეკლე ხელაძისათვის აბრეშუმის ნართის მოპარვა.

— **ჯიბგირობა.** 3 ივნისს ბაქოს ქუჩაზე ანტონ მიტოევს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე ფულითა და საბუთებით. ჯიბგირია ანდრონიკა სიდოროვი.

— **ქურდობა.** 3 ივნისს ალექსანდროვის ქ. № 4, გაქურდეს ალექსანდრე ჯაფაროვის ბინა.

— 3 ივნისს გაქურდეს მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის სამეურნეო იარაღების საწყობი, მდებარე აბრეშუმის ქარხნის ეზოში. წაღებული ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი სამკითხველო.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკითხველო არ ჩამოუვარდება მკითხველების რიცხვით მუშფაკებისა და პოლიტიკურ სასწავლებლების სამკითხველოს. სამკითხველოს ჰყავს 200-ზე მეტი მუდმივი მკითხველი, რომელნიც სარგებლობენ აგრეთვე წიგნების სახლში წაღებით. წიგნების გაცემა სწარმოებს რიგიანად და დაუგვიანებლად.

სამკითხველოს ამშვენებს რევოლიუციის ბელადების სურათები.

მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ლენინის კუთხე, რომელიც სავსეა მისივე თხზულებებით.

ლენინის კუთხის მოწყობა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში და მის გარშემო იდეური მუშაობა გამართლებაა ლენინის გენიალური მოძღვრების.

სამკითხველოს მოწყობისათვის მადლობის ღირსია აღმასბიურო, რომელიც შეძლებისდაგვარად მატერიალურ დახმარებას უწევს მას და სამკითხველოს გამგე კვალიფიკაციური მომუშავე **ამხ. ი. დოლონაძე.**

სახელმძღვანელო წიგნები ნაკლებად გვაქვს. ეს ამ სამკითხველოს დიდი ნაკლია.

ამ ნაკლის გამოსწორება ახლო მომავალში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან მისი მეოხებით შესაძლებელია შეიქმნას უფრო მჭიდრო კავშირი მოსწავლე სტუდენტობასა და სამკითხველოს შორის.

კომკავშირელი **ვასკოტი.**

კავშირის წევრი, თუ სახალხო ფულის გამფლანგველი?

(ქალ. წყალსადენის ადგილკომის საყურადღებოდ).

თბილისის წყალსადენის ერთმა მოსამსახურემ მოქ. **ნიკოლაი კუჭავაძემ**, მიუხედავად იმისა, რომ გასული 1924 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეები წყლის ფული თავის დროზე შეაგროვა ბათომის ქ. № 26, დღემდის არ შეუტანია დანიშნულებისამებრ, რის გამო მდგმურებს დღესაც ვალად **ადევთ 59 მან. 36 კაპ.** თანახმად წყალსადენის აბონენტისა № 2014 წიგნი № 338.

როდესაც მდგმურებმა მოახდინეს ცნობა წყალსადენის სამმართველოში და მოსთხოვეს **კუჭავაძეს** ფული შეეტანა, ის ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა მათ და განაცხადა: „აღმასკომმა ის ფული მე მაჩუქა".

ადგილკომო, დასაშვებია, რომ კავშირის წევრმა სახალხო ფული გაფლანგოს და ის მაინც კავშირის წევრად ირიცხებოდეს.

ინფ. „მწლაკე".

საჭიროა მეტი თანაგრძნობა

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა 1914 წელს დაწყებულმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა კაცობრიობას, რომელმაც გაანადგურა მეურნეობა და აუწერელი ზიანი მიაყენა ახალგაზრდობას. ბევრი სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდობა ამ უთანასწორო ბრძოლის დროს მსხვერპლად შეეწირა მტაცებელ კაპიტალისტთა ინტერესებს და ბევრი კი დაჭრილ-დასახიჩრებული დაუბრუნდა თავიანთ ოჯახებს.

1917 წ. მომხდარმა რევოლიუციამ საქ. ინვალიდებს არა რა არგუნა, მხოლოდ საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცებისას დაარსდა სრულიად საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც დღიდან მისი არსებობისა მიზნად დაისახა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ მოქალაქეთა უზრუნველყოფა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა კომიტეტმა: მან გახსნა განყოფილებები საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, საქართველოს ყველა მაზრებში და ქალაქებში. ქალ. თბილისში მოაწყო—ფეხსაცმელების სახელოსნო, საპნის ქარხანა, სავაჭრო კიოსკები და სხ., სადაც ჩააყენა ინვალიდები. ყოველივე მისი მუშაობა სწარმოებს იმ მიზნით, რომ როგორმე ინვალიდები თავიანთი ოჯახებით გამოიყვანონ იმ უმწეო მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩააყენა ყოფილ იმპერიალისტურმა ომმა. ერთხელაც არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ინვალიდს რომელსაც მიემართოს კომიტეტისათვის დახმარების მისაღებად და ხელცარიელი წასულიყვეს, როგორც ფულით, ისე სხვა მხრიდანაც.

გარდა ამისა, ის დახმარებას უწევს დემობილიზაციით განთავისუფლებულ იმ წითელარმიელთაც, რომელთაც არ გააჩნიათ არა-რა სამშობლოში დაბრუნებისათვის, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა უფრო მეტი დახმარების გაწევა.

დახმარება უნდა მიეცეს თვით კომიტეტსაც.

პ. გოგიშვილი.

პასუხად ამხ. უხილავს

შორაპნის მუშკორთა საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა 22 აპრილს ა/წ. განხილულ იქნა გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-№ 88-ში მოთავსებული წერილი ექიმ ვართაპეტოვზე, თითქოს ის წესიერად ვერ ასრულებდეს თავის მოვალეობას და სხვა.

კრებაზე გამოირკვა, რომ ეს წერილი არ შეეფერება სინამდვილეს.

ექიმი ვართაპეტოვი, პირიქით, დიდი ყურადღებით და უხარიანობით ეპყრობა ყველას, რაზედაც მუშა მოსამსახურეები მადლიერნი არიან. წერილი ამხ. უხილავისა ალბად გამოწვეულია რამე გაუგებრობით.

შორაპ. რ. გზის ადგილკომის თავმჯ. **გ. ბიბილაშვილი**

პროვინციაში

სარძევე ფერმა მცხეთაში

დასასვენებელ სახლებთან მცხეთაში არსებობს სარძევე ფერმა, რომელიც ამჟამად სავსებით აკმაყოფილებს დამსვენებლებს რძის პროდუქტებით. ამას წინად ფერმა დაათვალიერა პროფ. თამაშევმა დასასვენებელ სახლების გამგეობის წევრების თანხლებით. პროფესორმა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო ფერმის მდგომარეობა, საქონლის მოვლა, კვება და ჰიგიენური პირობები. მან მცირეოდენი შესწორება შეიტანა ძროხების საკვების განაწილებაში. პროფ. თამაშევმა გადასცა გამგეს სახელმძღვანელოები მეძროხეობის შესახებ. ფერმას ემჩნევა დიდი გაუმჯობესება გასულ წელთან შედარებით. პროფკავშირთა საბჭოს განზრახული აქვს გააფართოვოს ეს ფერმა და დააყენოს ის კიდევ უფრო გეგმა შეწონილად.

ს. საგვიჩიო.

(სენაკის მაზრა)

სამი-ოთხი დღე იქნება, რაც ამ სოფელში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. ოციოდე საქონელი უკვე დაიხოცა. როგორც ირკვევა, არის ციმბირის წყლული. ჭირი ღებულობს ფართე ხასიათს. ადგილობრივი ხელისუფლებამ მიმართა ვეტერინალურ ამბულატორიას. გვესაჭიროება სასწრაფო დახმარება.

გლეხკორი **ვაკცინა.**

ქ. ჭიათურა (შორაპნის მაზრა)

სადგურ შორაპანს ორი რკინის გზის ლიანდაგი უვლის გარშემო: ერთი ბათომ-თბილისისკენ მომავალი, მეორე კი ჭიათურისაკენ. მატარებელი გველისებურ კლაკნით და წივილით გაურბის ორ გორაკ შუა. ამ მაღლობების ნაპირებზე მრავალი ციხე-სიმაგრეებია ნაშენები ჩვენი წინაპრებისაგან; ამჟამად ისინი ნამტვრევებს წარმოადგენენ. ქ. ჭიათურა წინად უმნიშვნელო სოფელს წარმოადგენდა, ამჟამად ვეებერთელა ქალაქია. უცხო მნახველი ხსენებული ქალაქის ნახვით განცვიფრებაში მოდის, როდესაც ის ხედავს მრავალ უცხოელ ხალხს, როდესაც მის თვალწინ იშლება აუარებელი მუშა-ხალხი შავად შემურული ხელებ დაკოჟრილი, რომლებიც თავჩაღუნულნი მუყაითად და ენერგიულად მიიჩქარიან სამუშაოებისაკენ. წარმტაცია და განსაცვიფრებელი ეს დიდი უზარმაზარი კლდეები, რომელნიც მედიდურად და ამაყად დასჩერებიან ქალაქს, რომელთა ძირში გაყვანილია მრავალი გვირაბები, საიდანაც გამოაქვთ ეს უხვი ბუნებრივი სიმდიდრე—შავი ქვა.

ამბროსი სალაძე.

პროვინციის ქრონიკა

— **შორაპნის** გლეხკომებმა გადასწყვიტეს გლეხკომების სამკურნალო აბანოებზე ღარიბ გლეხებს უფასოდ მისცენ მკურნალობის უფლება.

— **გოგირდის აბანო ლეჩხუმში.** ლეჩხუმის სამაზრო გლეხკომის განკარგულებით შეუდგენ სოფ. ალპანის ახლო გოგირდის აბანოს კეთილმოწყობას.

— **სკოლის შეკეთება.** სოფ. შილდაში (თელავის მაზრა) ადგილობრივი აღმასკომი უკვე შეუდგა სკოლის შეკეთებას.

— **სოფ. ქოლობანის** (აბაშის რაიონი) მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა ადგილობრივ ტელეფონის ხაზის გაყვანის შესახებ.

— **სენაკის მაზრაში** შეუდგენ ქოხ-სამკითხველოების გამოკვლევას. ამჟამად მთელ მაზრაში არსებობს 41 ქოხ-სამკითხველო.

— **თამაკონის თემის** აღმასკომი საჭირო შენობას აგებას შეუდგა.

— **ახალი აფთიაქი.** ზუგდიდში ამჟამად აგებენ შენობას ახალი აფთიაქისათვის.

— **ვენახებს** გუდაუთში კარგი პირი უჩანს.

ჩვენი ფოსტა

ა. სალაძეს. კოოპერატივში ხალხის შეკრება და გაზეთის კითხვა ხელს უშლის ალბათ მუშაობას. ამ მხრივ დადგენილება უკანონო არ არის. მოიწერეთ უფრო დაწვრილებით.

ვ. ბ—ძეს. თქვენს წერილთან დაკავშირებით **საჩქაროდ გამოგვიგზავნეთ** ცნობები მხარის ეკონომიური მდგომარეობის, საბჭოთა აღმშენებლობის და სხვ. შესახებ, რათა წერილთან ერთად გაუშვათ. **კარგი იქნება,** თუ ცნობები შედარებითი ხასიათის იქნება.

პატარა ფელეტონის მაგიერ

მიძღვნათ ფასანაურის გლეხკომის თავმჯდომარეს

— ჰო, მერე ვანო, შენ სოფ. ფასანაურზე უნდა რაღაცა გეთქვა, ხომ არ დაგავიწყდა?

— ფასანაური, ჰოო, დუშეთის მაზრა, აქ მართლა საინტერესო ამბავს წავაწყდი. გლეხთა კომიტეტებზე ვლაპარაკობდი, არა?

— ჰო, ჰო, შენ სულ გლეხკომებზე ლაპარაკობდი.

— ჰო, ფასანაურის გლეხკომზეც უნდა რაღაცა მეთქვა, მაგრამ არა ღირს...

— რატომ, რაში არის საქმე?

— არაფერი, ისე... ფასანაურის გლეხკომი ცოტა მოიკოჭლებს—დარცხვენილივით ჩაილაპარაკა ვანომ.

— ჩემო ძმაო, ეგრე ხომ არ არის საქმე! რა ვუყოთ, რომ გლეხკომი მოიკოჭლებს. ვთქვათ, ცოტა-კი არა, თავით-ფეხებამდი მოიკოჭლებს, მერე რაა? კოჭლი კაცი—კაი კაცი, არ გაგიგონია?

— გამიგონია, როგორ არა!

— ჰო, და, თუ გაგიგონია, უფრო კარგი, თქვი, და თანაც დაიხსომე: კოჭლი კაცი—კაი კაცი!

— კარგი, ჰოო,—მიუგო ვანომ,— შენ ისე, ძველი ხურჯინივით გადაეკიდები ხოლმე კაცსა, რაც არ უნდა გინდოდეს, მაინც ათქმევინებ!

— მე უკვე მივხვდი, რომ ფასანაურის გლეხკომის საქმე ალბად ვერ არის კარგად დაყენებული; მერე რაა შე კაი კაცო, სადაც კარგს ვიტყვით, იქ ცუდიც უნდა ვსთქვათ, რომ კარგის ცუდისაგან გარჩევა შეგვეძლოს. სხვანაირად ღირებულების შეფასებას ვერ მივაგნებთ.

— არა, არც ესაა საქმე, შენ რომ გგონია—დაიწყო ვანომ,—იქ მართლა არ ვარგა საქმე; ფასანაურის გლეხკომი მახინჯია გლეხკომთა ოჯახში, მაგრამ იქაც დიდ მეცადინეობაში არიან, რომ საქმე გამოასწორონ, იშოვონ სახსარი დიდი მოვალეობის შესასრულებლად უღარიბეს გლეხთა და ქვრივ-ობოლთა დასახმარებლათ, მაგრამ...

-- მაგრამ?

— ჩაველი თუ არა ფასანაურში—განაგრძო ვანომ—არ გასულა ათი წუთი, შემოვიდა ჩემთან ოთახში ერთი კაცი და გამარჯობა-გაგიმარჯოს შემდეგ, მომმართა:

— „ამხანაგო, გაიღეთ რამე აქაური გლეხკომის სასარგებლოთ, კეთილ საქმეს იზამთ და დიდი მადლობელიც ვიქნებით"-ო!

მე პირი დავაღე, გავშტერდი! ვიფიქრე, აქ გლეხკომის სახელით სპეკულიაციას ხომ არ ეწევა ეს ახირებული კაცი-მეთქი, მაგრამ მას სპეკულიანტის არაფერი არ ეტყობოდა, რაშიაც მალე დავრწმუნდი.

— მერე, მერე?

— მერე შევიტყვე, რომ ის, ვინც ჩემგან „შემწეობას" ითხოვდა გლეხკომისათვის, აღმოჩნდა ფასანაურის გლეხკომის თავმჯდომარე!

— მერე რაა, რას გაჩუმდი?

— არაფერი, როცა მომაგონდება ხოლმე—„ამხანაგო გაიღეთ რამე აქაური გლეხკომის სასარგებლოდ, კეთილ საქმეს იზამთ და დიდი მადლობელიც ვიქნებით"-ო—გამეცინება ხოლმე!

— ჩემის აზრით, აქ სასაცილო არაფერი არ არის. პირიქით, თუ ფასანაურის გლეხკომს სხვა არაფერი საშუალება არა აქვს, რა დასაძრახისია, რომ მგზავრებს შემწეობა სთხოვოს! ყოველ შემთხვევაში ამ სახითაც შეიძლება კარგი საქმის გაკეთება. არა, ვანო, შენ სცდები!

-- შეიძლება. მაგრამ რაღაც არ მეჭაშნიკა ასეთი საქმე. შემდეგ, როცა გავეცანით ერთმანეთსა და გამოვკითხე გლეხკომის საქმე—ასე ამიხსნა: ჩვენს გლეხკომს არავითარი შემოსავლის სახსარი არა აქვს,—არც მამული, არც სახლი—ერთი სიტყვით, ჩვენ ვცხოვრობთ მხოლოდ იმით, რასაც გამვლელ-გამომვლელნი გამოიმეტებენ და გლეხკომს შემოაწირავენო. ამგვარად, ოთხი თვის განმავლობაში მთელი შემოსავალი 20—30 მანეთი ჰქონიათ მოკრეფილი მგზავრებისაგან შეწირულების სახით. სხვა სახსარი, დახმარება ან აღმასკომიდან (აღმასკომსაც არაფერი აქვს აქა) ან სხვა რაიმე დაწესებულებიდან არაფერი არა ჰქონიათ და წარმოიდგინე ამ 20 მანეთით ფასანაურის გლეხკომი მაინც ინახავს 7 ობოლ, უსახლკარო ბავშვს. გლეხკომის თავმჯდომარე, რომელიც მე „სპეკულიანტი" მეგონა, სიამაყით მიხსნიდა, რომ მან, შესძლო შვიდი ობოლი ბავშვის შენახვა და ვინ იცის სიკვდილსაც გადაარჩინა, თუმცა ეს ბავშვები სცხოვრობენ თითო და ხანდახან ორ გირვანქა პურით და მეტი არაფერი საჭმელი მათთვის იქ არ არსებობს. ბავშვები მაინც კმაყოფილნი არიან და ეტყობათ „სპეკულიანტი" გლეხკომის თავმჯდომარე ძლიერაც უყვართ!

— ჰო და რა არის აქ სასაცილო, რომ იძახი —რომ მომაგონდება --მეცინებაო? შვიდი ობოლი ბავშვის შენახვა და აღზრდა სრულებითაც არ არის პატარა საქმე! შენ ის მითხარი—ფასანაურის გლეხკომმა შემდეგაც, მომავალშიც ეგრე უნდა იმათხოვროს?

— შენი მტერი, თუ ასეთი მდგომარეობა არ შეიცვალა—სთქვა ვანომ—მაშინ აქ საცინელი-კი არა, სწორედ სატირალი საქმე იქნება. მით უმეტესს, რომ არის საშუალება გლეხკომის ქონებრივად ფეხზე დაყენებისა. ჯერ ერთი, რომ საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საქმისადმი სიყვარული და უნარიანობა გამოიჩინონ და მაშინ სახსარიც გამოჩნდება გლეხკომისათვის; მეორე ის, რომ იქ, ფასანაურში, არის ხუთი-ექვსი დესეტინა გამოსადეგი მიწა და ბაღები, რომელიც ეკუთვნის გზა-ტკეცილის სამმართველოს. ეს მამული, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამმართველოსათვის არავითარ შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენს და მით სარგებლობენ მხოლოდ და მხოლოდ იქაური განყოფილების მოსამსახურენი. ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. რა ვუყოთ, რომ მეფის დროიდან ეს მამული სამმართველოს ეკუთვნოდა. მაშინ ეს მამული იმიტომ იყო მიკუთვნილი განყოფილებაზე, რომ მის უფროსს იქ ნეტარებით ეცხოვრა. ეხლა-კი სხვაა, განყოფილების (დისტანციის) მოსამსახურეთ ჯამაგირები აქვთ და საცხოვრებელი ბინა. ეს მათთვის კმარა. მამული უნდა ჩამოერთვათ მათ და გადაეცეს გლეხკომს. გლეხკომი ქვრივ-ობოლთ და ულარიბეს გლეხობას გაუწევს დახმარებას და დისტანციის მოსამსახურეთ კი ჯამაგირები და უფასო ბინებიც ეყოფათ. ვიმეორებ, რომ ამ მამულებიდან თვით გზათა სამმართველო არაფერს არ სარგებლობს და ისეთ გლეხკომს კი, რომელიც იძულებულია „იმათხოვროს", არამც თუ ხუთი-ექვსი დესეტინა—ერთი-ორი დესეტინა მამულიც წელში გამართავს!

— ეს საჭიროც არის და სამართლიანიც, რატომ აქამდინ არ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი?

— წარმოიდგინე,—განაგრძო ვანომ—ამ საკითხისათვის არავის ჯერ ყურადღება არ მიუქცევია. ჩემის აზრით-კი, ეს საქმე სულ უბრალოა და უდავო, რომ ეს მამული გლეხკომს უნდა ეჭიროს. აქ უნდა დავუმატო ისიც, რომ მამული ნახევრად გახრიოკებულია, მას ნამდვილი მომვლელი არა ჰყავს, რადგანაც მოსამსახურეები იცვლებიან და ამიტომ მამულსაც უგულოთ ექცევიან. ფასანაურის აღმასკომმა და მით უმეტეს გლეხკომმა დაუყოვნებლივ უნდა აღძრან საკითხი, სადაც ჯერ არს, და დააბოლოონ მისი გადაწყვეტა თავისი სასარგებლოდ. აი ამის შემდეგ აღარ დასჭირდება ფასანაურის გლეხკომს გამვლელ-გამომვლელისათვის ხელის გაშვერა და მათხოვრობა.

— სრულიად გეთანხმები!

სანდრო იაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ს. ს. ხ. რესპუბლიკის უმ. სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების წესი 1925—26 სასწ. წელში. განათლების სახალხო კომისარიატის.

§ 1. მომავალ 1925—26 სასწავლო წელში მიღების ნორმა განისაზღვრება: სახ. უნივერსიტეტში 475 კაცით, სოც. ეკონ. ფაკულტეტზე—75, პედაგოგიურზე—150, სასოფლო-სამეურნეოზე—100, სამკურნალოზე—75 და პოლიტეხნიკურზე—75, ხოლო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში—150 კაცით. (საინჟინეროზე—75 და სას. სამეურნეო ფაკულტეტზე—75). ადგილები ნაწილდება შემდეგნაირად:

- ა) კომპარტიის ცკას 15 პროც.
- ბ) საქ. პროფკავშირთა საბჭოს 30 „
- გ) ახალგ. კომკავშირის ცკას 15 „
- დ) მშრომელ გლეხობას 10 „
- ე) წითელ არმიას და შრომის და ომის ინვალიდებს 5 „
- ზ) არამშრომელთათვის 25 „

შენიშვნა: ორგანიზაციებს უფლება აქვთ ნორმაზე ზედმეტად წარმოადგინონ კიდევ სხვა კანდიდატები 50 პროც—ის რაოდენობით იმ შემთხვევისათვის, თუ მათ მიერ ძირითადი მივლინებით გამოგზავნილ კანდიდატებმა ვერ შესძლეს გამოცდების წარმატებით ჩაბარება. დამატებითი კანდიდატები იგზავნებიან ძირითადებთან ერთად საერთო წესით.

§ 2. კომპარტიის და ახალგ. კომკავშირის ცკა და პროფკავშირთა საბჭო მათთვის მიჩენილ ადგილებს ანაწილებენ სამაზრო დაწესებულებათა და ორგანიზაციებს შორის და ეს უკანასკნელნი მიავლინებენ უმ. სასწავლებლებში თავიანთ კანდიდატებს, განაწილების წესრიგის და რაოდენობის მკაცრი დაცვით, რამდენი ადგილიც მიეცემა მათ ცენტრალურ ორგანიზაციებისაგან.

§ 3. უმ. სასწავლებლებში 1925 წ. სტუდენტთა ჩარიცხვის ჩასატარებლად ეწყობა.

ა) ცენტრალ. მიმღები კომისია პროფ. განათლების მთავარ მმართველობასთან.

ბ) უმ. სასწავლებლებთან მიმღები კომისიები.

გ) სამაზრო აღმასკომებთან,—საატესტაციო კომისია.

§ 4. მუშფაკში კურსდამთავრებულნი გზავნიან თავიანთ საბუთებს სათანადო უმაღლ. სასწავლებლის მიმღებ კომისიაში მუშფაკის პრეზიდიუმის ვიზის თანდართვით.

§ 5. დანარჩენ მსურველთ შეაქვთ განცხადებები უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისიაში შემდეგი საბუთების თანდართვით (დედანი და ორი სათანადოთ შემოწმებული

ა) წლოვანების საბუთი (მთხოვნელთა ჰასაკი 16 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს).

ბ) განათლების საბუთი;

გ) სათანადოთ შემოწმებული მოწმობა ნივთიერი მდგომარეობის შესახებ.

დ) მივლინების მოწმობა.

ე) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

ვ პირადი ფურცელი—ანკეტა თანდართულ ფორმის მიხედვით ანკეტის ცნობათა სინამდვილეს მიმავლინებელი ორგანიზაცია ადასტურებს.

შენიშვნა: ის პირნი, რომელნიც მშრომელ გლეხობას ეკუთვნიან, მივლინების მოწმობის მაგივრად, არდგენენ ადგილობრივ აღმასკომის მოწმობას მათი სოციალური მდგომარეობის დადასტურებით.

§ 6. განცხადებები უმ. სასწავლებლების მიმღებ კომისიებში მიიღება 1-ლ აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე. 1-ლ სექტემბერზე გვიან შემოსული განცხადებები არ განიხილება.

§ 7. მუშფაკში კურსდამთავრებულნი, რომელნიც იგზავნებიან მე-4 §-ში აღნიშნულ წესით, ჩაირიცხებიან მიმღებ კომისიის მიერ უმ. სასწავლებლებში უგამოცდოთ და შეუმოწმებლად კლასობრივი მხრივ.

§ 8. სპეცტეხნიკუმებში კურსდამთავრებულნი ჩაირიცხებიან მიმღები კომისიის მიერ უმ. სასწავლებელში უგამოცდოთ, მხოლოდ კი კლასობრივი შემოწმებით.

§ 9. ის პირნი, რომელთაც ენიშნებათ გამოცდები უმ. სასწავლებლებში შესასვლელად, აბარებენ ამ გამოცდებს 10 დან 20 სექტემბრამდე იმ საგნებში, რომელნიც აღნიშნულია მიმღებ კომისიის ინსტრუქციაში.

შენიშვნა: სამხატვრო-სახელოვნო უმ. სასწავლებლებში შემსვლელთ ენიშნებათ განსაკუთრებული გამოცდები, რომელთა მიზანია გამოარკვიოს შემსვლელის მხატვრული ნიჭი და ისიც, თუ რამდენად მომზადებულია იგი ხელოვნების ამა თუ იმ დარგში.

§ 10. სტუდენტის პირობითი ჩარიცხვა გამოცდების გადადებით არავითარ შემთხვევაში დასაშვები არ არის.

§ 11. უმ. სასწავლებლებში ჩარიცხვა მიმღებ კომისიების მიერ უნდა დამთავრებულ იქნეს 25 სექტემბრისთვის.

12. უმაღ. სასწავლებლებში ჩარიცხული ის პირნი, რომლებიც არ შეუდგებიან მეცადინეობას 15 ოქტომბრამდე, ავტომატიურად გამორიცხულ იქნებიან უმ. სასწავლებლებიდან.

განათლების სახალხო კომისარი
დ. კანდელაკი.
საქმეთა მმართველი
ალ. მიქაბერიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

აქტიური

— დღეს, პარასკევს, 5 ივნისს, დილის 10 საათზე, ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ბინაზე მოწვეულია თბილისის კომიტეტთან არსებულ **სოფლად მუშაობის კომისიის სხდომა** თბილისის აღმასკომის სოფლად მუშაობის სექციის ბიუროს კომუნისტ წევრებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: სვანიძე, ასრიბეკოვი, ადიკაშვილი, ფანცხავა, გაგლოევი, მელაძე, ფანცულაია, სუხიშვილი, გავაშელი, მესხი, კორძახია, ქავარაძე და ვოზნია.

თბილისის კომიტეტის სოფლად მუშაობის კომისიის თავმჯდომარე
კახიანი.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ უჯრედთა ბიუროების კონფერენციის გაგრძელება შესდგება დღეს, 5 ივნისს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის საზაფხულო შენობაში.

დღის წესრიგი:

1. ამხ. სვანიძის მოხსენება უჯრედთა ბიუროების ამოცანების და მუშაობის შესახებ. 2. მიმდინარე საქმეები.

არსენალის რაიონის უჯრედთა ბიუროების ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ მელაძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს უჯრედის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა | წ. 5 ივნისს საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება კომ. უჯრედის არა—მორიგი კრება უნივერსიტეტის შენობაში.

კომ. უჯრედის ბიურო.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 5 ივნისს, ამხ. საკოვთან.

1. როტტე ალბერტ, 2. ხიხანაშვილი პეტრე, 3. ოგანეზოვი ნიკ., 4. ქანტურია ისიდორე, 5. ტიმლენკო გრიგ., 6. მარცინკოვა ფნარგ., 7. ბეჟანიშვილი, 8. გუიეკი და ზ. გიოვიანი.

— ს. კ. პ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებმაც დაამთავრეს საბჭოთა პარტიული სკოლა, გამოცხადდენ დღეს, 5 ივნისს, დილის 11 საათზე. ამხ. საკოვთან.

1. ბადურაშვილი, 2. გრიგალია, 3. ხუბიეროვი, 4. ჟოსნადი, 5. კობახიძე, 6. თურაზიანი, 7. ფიცხელაური, 8. დოლიძე, 9. ნემსაძე, 10. მიხანაშვილი, 11. გრიგორიანი, 12. შერგილაშვილი, 13. გერაზაშვილი და ამხ. რაიფ შნეიდერი (არმიიდან დემობილიზაციის წესით დათხოვნილი), რომელიც უნდა გამოცხადდეს დღის 12 საათზე იმავე ოთახს.

თინათინა ნიკოლოზის ასული იაგორაშვილი შვილებით: ნინო და თამარა, სერგო და ივანე ნიკოლოზის ძენი ყაზახაშვილები; ანა ნიკოლოზის ასული ჰავჰავაძისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი დის

მარიამ ნიკოლოზის ასული
ყაზახაშვილის

ერთი წლის თავის პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 6 ივნისს, საღამოს 6 საათზე ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე.

№ 1543—1—1

ღრმად დამწუხრებული შვილები: სილიბისტრო სულაძე, ოლღა სხირტლაძისა და ალარი კირვალიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1-ლ ივნისს გარდაიცვალა მამა

თომა გრიგოლის ძე სულაძე

გასვენება მოხდება დღეს, 5 ივნისს, ნაშუადღევის ოთხ საათზე ბინიდან—ნაკადის ქუჩა, სახლი № 6 (ფუნიკულიორის ქვეშ)

№ 1544—1—1

ღმად დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: მეუღლე მარიამი ჭეიშვილი, შვილი ნინო, ძმა სერგო და ვასასი, რძლები სონა და სიმა, ბიძაშვილები სევერიანე, კალენიკე, ვალერია, არკადი და გიგა ვეფხვაძეები, ცოლის ძმა ვასო, რძალი ნადია ჭეიშვილები აუწყებენ ნათესავებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნიკოლოზ (კოლია) გულასპის ძე ვეფხვაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ბორჯომში დღეს, 5 ივნისს, დღის 4 საათზე

№ 1542—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა გრიგორის ასული, შვილები, სიძეები, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 7 ივნისს, დილის 11 საათზე საფირჩხიის სასაფლაოზედ გადახდილი იქნება პანაშვიდი გადაცვალებულის

სიმონ ბეჟანის ძის რუხაძის

ექვსი თვის მოსაგონებლათ

ნის. № 1273—1—1

შვილი ნინო, სიძე ივანე და შვილის შვილები თინა, პეტიკო და ირა ჯაფარიძეები, და ემელია ქუთათელაძე და დის შვილი თამარა გულუა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ვიქტორ ათანასის ძე
ქუთათელაძის

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე წირვა და პანშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 6 ივნისს, ქ. ხონში.

№ 1541—1—1

1925 წლის 6 ივნისს,
გაიხსნება ახალი საზაფხულო კინო-თეატრი
სიმი
პლეხანოვის პრ., № 105, „არტო“-ს გვერდით.
გახსნის დღის წავა
სეზონის ახალი სურათი
(გამოშვებული 1924 წ)

პაოლო ალოვარეცი

ამერიკული მხატვრული დრამა 7 ნაწილათ
რიჩარდ ბარტელმესის მონაწილეობით
დადგმა საქვეყნოთ ცნობილ რეჟისორის დ. გრიფიტის.

ნის. 1—1

ს. მ. უ. ს. ს. მ. უ. ს.

„ცენტროტრამოტი“
საზაფხულო სახალხო მიმოსვლა
თბილისი—ვლადიკავკავი
„ კოჯორი
„ მანგლისი
და აგრეთვე ყველა მიმართულებით.

კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.

0—3 6. 1240

სახალხო განათლების კომისარიატი
ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 8 ივნისს, კომისარიატის შენობაში (რუსთაველის პრ. № 31) დილის 12 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობა

სარაის გადაკეთებისა სტამბის მოსათავსებლად (პლეხანოვის პრ. № 10). კონდიციების მიღება შეიძლება ყოველ დღე კომისარიატის შენობაში 1—2 საათამდე ტეხნიკურ განყოფილების გამგისაგან. საორგანიზაციო მართველობის გამგე ე. მამულაიშვილი. ტეხნიკურ განყ. გამგე ინჟენერი დ. ჯორჯაძე.

ნ. 1269 1—1

თბილისის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის

სავალდებულო დადგენილება № 82

ქ. თბილისის სასაფლაოების მართვა-გამგეობის შესახებ

1925 წლ. მაისის 30 თბილისი

თბილისის სასაფლაოების მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ქ. თბილისის ფარგლებში მდებარე ყველა სასაფლაოების მართვა-გამგეობა ევალება თბილისის აღმასკომის კ | მომწყობ განყოფილებას.

2. აღმასკომი ნიშნავს სასაფლაოს გამგეს, რომელსაც ევალება სასაფლაოს უშუალოდ გამგეობა და მოვლა-პატრონობა, როგორც არის სასაფლაოს მიწების გაცემა, სასაფლაოს გალავნის შეკეთება-აშენება, წყლის გაყვანა და განათება, ხეების და მცენარეების მოვლა-გაშენება, ძეგლების და მოაჯირების დაცვა და სხ.

§ 3) ყოველ სასაფლაოზე იმყოფება დარაჯთა და მესაფლავეთა მუდმივი შტატი. შტატის რაოდენობა განისაზღვრება სათანადო სასაფლაოს გამგის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებასთან შეთანხმებით.

§ 4) მიცვალებულთა სამარხი ადგილები უფასოა ყველასათვის.

§ 5) ყოველი სამარე ითხრება სიღრმით არა ნაკლებ სამი არშინისა, ხოლო სიგრძე-სიგანე კი ფაქტიური საჭიროების მიხედვით. დაყრილი მიწა იტკეპნება და საფლავი ლამაზდება დეკორატიულ მცენარეებით და კულტურული ხეებით. დარგული მცენარე-ხეები ირწყვება საჭიროების მიხედვით.

§ 6) სასაფლაოს მოვლა-პატრონობა საფლავის გასაჭრელ, ხემცენარეების შესაძენ და სასაფლაოს მუშა-მოსამსახურეთა შესანახ ხარჯების დასაფარავად წესდება შრომის ხელფასი შემდეგ წესით:

ა) პროფკავშირის წევრებზე და შრომის ბირჟის მიერ აღრიცხულ, მაგრამ დაზღვეულ პირებზე 3 მანეთი.

ბ) დანარჩენ მოქალაქეებზე-კი სათანადო სასაფლაოს გამგესთან შეთანხმებით.

შენიშვნა: ომის ინვალიდების, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ მყოფ მოქალაქეების და შრომის ბირჟის მიერ დაზღვევაზე აყვანილ უმუშევრების საფლავების გაჭრა და მიწის მიყრა ხდება სრულიად უფასოდ, ამის შესახებ ყოველ ცალკე შემთხვევაში წარდგენილ სათანადო მოწმობის მიხედვით.

§ 7) სასაფლაოს შემოსავალ-გასავალი სწარმოებს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მიერ დადგენილების წესის დავთარით და მისი სწორად წარმოების სრული პასუხისმგებელია სასაფლაოს გამგე.

§ 8) სასაფლაოში მყოფ ეკლესიის კედლების ირგვლივ რჩება 30 ოთხკუთხი საჟენი თავისუფალი ადგილი და აქ მიცვალებულთა დასაფლავება აკრძალულია.

§ 9) აკრძალულია თბილისის აღმასკომის ნებადაურთველად მიცვალებულთა დასაფლავება ქვემო აღნიშნულ სასაფლაოებში და ეკლესიის გალავნებში:

1) მამა-დავითის ეკლესიის გალავანში.

2) ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოში მე-3 სამილიციო რაიონში.

3) სომხეთა სასაფლაოში, რკინის გზის ლიანდაგთან.

4) დიდუბის ეკლესიის გალავანში.

5) ყველა იმ ეკლესიების გალავანში, სადაც დღემდე არ არსებობდა საზოგადო სასაფლაოები.

§ 10) ეს სავალდებულო დადგენილება არ ეხება სამხედრო უწყების სასაფლაოებს.

§ 11) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი მოქალაქენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სათანადო წესით.

§ 12) ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინად გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებანი.

§ 13) დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თავმჯდომარის მოადგილე—ივანოვ-კავკასიელი.
კომ. განყ. გამგის მოადგილე ასრიევი.
მდივანი—ციტიშვილი

ნ. 1271 1—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—19.

გრძელდება ხელისმოწერა ჟურნალ

„აქტივისტ“-ზე

№ 4—5

საქართველოს ახალ. ლენ. კომუნ. კავშირის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო.

ჟურნალის მიზანია კავშირის აქტივის ფართე მასისათვის პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობის მასალების მიწოდება, კავშირის ხელმძღვანელობაში აქტივისათვის დახმარების გაწევა, დირექტივების და სახელმძღვანელო განმარტებათა მიწოდება იმ კითხვათა გარშემო, რომელნიც უკვე არიან ან იქნებიან გადაწყვეტილი ცკას და ყრილობების მიერ, ახალი კითხვების წამოყენება, აზრთა ფართე გაცვლა-გამოცვლის წარმოება და კავშირის აქტივის ფართე მასსის ჩაბმა მიმდინარე ამოცანების დასახვა-გარკვევაში.

ჟურნალს აქვს შემდეგი მუდმივი განყოფილებანი: 1. კომუნისტური აღზრდის საკითხები, 2. ორგანიზაციული საკითხები, 3. კომკავშირი სოფლად, 4. მოჯამაგირის კუთხე, 5. მუშური და გლეხური ახალგაზრდობის სკოლები, 6. ჯარი და ფლოტი, 7. ჩვენი პრესა, 8. პიონერთა მოძრაობა, 9. ფიზკულტურა, 10. ახალგაზრდობა და ხელოვნება, 11. ახალი ყოფა-ცხოვრება, 12. ადგილების გამოცდილება; 13. აქტივისტის კითხვა-პასუხი, 14. წინადადებათა დაფა, 15. კავშირი საქესთან (ცკ-ს მუშაობა) 16. „აქტივისტის ფოსტა“ და სხ.

ჟურნალში მონაწილეობენ კავშირის ყველა აქტიური ძალები.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:
) 1. ვ. დარახველიძე
) 2. ა. კეკელია
) 3. შ. ანდღულაძე

ფასი წლიურათ 4 მან., ნახევარი წლით 2 მან., 3 თვით 1 მან. 50 კაპ. თვითეული ნომრის ფასი 50 კაპ. წლიური ხელისმომწერლები სარგებლობენ შეღავათით: ხელის მოწერისას იხდიან 2 მან. და თითო მანეთს შემდეგ ორ თვეში.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. 20 „აქტივისტი“-ს რედაქცია. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე საქ. კომპარტიის ცკას გამომცემლობათა პროვინციის კონტრ-აგენტებთან.

ნ. 1254 3—2

ჯანსახკომისარიატის
კურორტთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ბახმაროზე მას ... თავისუფალი ოთახები. მსურველები საჭიროა გამგზავრებამდე შეუთანხმდნენ სახლის მეპატრონეებს და გაემგზავრონ ბახმაროზე მხოლოდ ოთახის დაქირავების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში საკურორტო სამმართველო ვერავითარ დახმარებას ოთახების აღმოჩენის მხრივ მათ ვერ გაუწევს.

ნის. 1272. 1—1 საკურორტო სამმართველო.

სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველოს

საფოსტო გარაჟი

აცხადებს

საფოსტო-სამგზავრო ავტო-მიმოსვლის საზაფხულო ცხრილს

თბილისი—კავკავი

თბილისიდან მიდის	**კავკავიდან მოდის**
კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით	**სამშაბათობით, პარასკევობით და კვირაობით**

ავტომობილები გადის დილის 7 ნახ. საათზე და დანიშნულების ადგილზე მიდის იმავე დღეს საღამოს.

თბილისი—კოჯორი—მანგლისი

თბილისიდან გადის	**მანგლისიდან მოდის**
ხუთშაბათობით დილის 7 ს. 30 წ. **შაბათობით დღის 3 საათ. 30 წ.**	**ხუთშაბათობით) კვირაობით) დღ 3 საათ.**

ბორჯომი—ახალციხე—აბასთუმანი

ყოველდღე დილის 9 საათზე.

ბილეთებისათვის და ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართეთ:

თბილისში:—სახალხო კავშირის ა.-კ. ოლქის სამმართველოს ცენტრალურ გარაჟი რუსთაველის პრ. № 43, ტელ. 6—47. და სააგენტო „კავშირი“ თავისუფლების მოედანი (თამამშევის ყოფილი ქარვასლა).

ადგილებზე: საფოსტო-სატელეგრაფო კანტორები. ნ. 1193 2—2

სურ.-ხაშურ-ბორჯომის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ამხ. ქურდევანიძე ამით აცხადებს, რომ 15 თიბათვეს ა.-წ. დილით 10—12 საათ. ქ. ხაშურის სახ.-სასამართლოს შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი ქონება **კუთვნილი ნიკალა ივანეს ძე მაცხონაშვილისა,** რომელიც შესდგება ორი ქვიტკირის ოთახით მეორე სართულში, თავის ქვეშ მდებარე ადგილით, საერთო აივანით, დერეფანით, კიბით, საჭირო ადგილით, დახურული თუნუქით ზომით სიგრძით 10 მეტრი—სიგანით 7 მეტრი—გიორგი ქელეხსაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად 530 მან. კვალობაზედ—თანახმად აღმოს. საქარ. ოლქის სახ.-სასამარ. აღმასრ. ფურცლისა 9 მარტიდან ა.-წ. № 16979. აღწერილი ქონება შეფასებულია 250 მან.

მყიდველებმა უნდა წარმოადგინონ კომ.-განყოფილებისაგან მოწმობა, რომ მათ და მათ ცოლშვილს იქ არა აქვთ უძრავი ქონება.

ნის. 1274. 1—1 სასამ.-აღმასრ. **ქურდევანიძე.**

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი

„როსკომბანკ“-ი

კეცხოველის ქ. № 5 (ყოფ. სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახლი, მე-2 სართული)

ყიდულობს
ყოველგვარ
ვერცხლს და ოქროს

სხმულადებში (в слитках) და ნამტვრევებს, და აგრეთვე მეფის დროინდელ ოქროს და ვერცხლის ფულს.

3—1 ნ. № 1267

დიდი-ჭყონის მთლიანი კოოპერატივის სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 1 ივნისიდან 15 ივნისამდე ახდენს ამავე კოოპერატივის ლიკვიდაციას და კომისია სთხოვს ყველა დაწესებულებებს და კერძო პირებს, თუ ვინმეს აქვს რაიმე პრეტენზიები, შემოიტანონ ვადამდე.

ნის. 1552. 1—1.

ნ. პ. სიზიაკინის
საწერ მანქანების
სახელოსნო
ყიდულობს

მაღალ ფასებში სხვადასხვა

საწერ მანქანებს.

სასახლის ქ., № 6

5—1 ნ.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ ჩედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ის ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—6

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ 49(.

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი,

ნ. 1346 25—15

ექიმი

მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—25

ექიმი

გ. გ. მელრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—9

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

284 25—9.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—9

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი
თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—15

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ.

სიფილისი (606—914)

მიღება { კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ.

მოსკოვის ქ. № 4.

25—10 № 1432

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

№ 202.

25—25

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—16

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

უჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—15

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—9

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან-

25—10

დაკარგე საარიცხვო ბარათი რევაზ ვლადიმირის ძე ანდრონიკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1545 1—1

დაკარგე აღრიცხვის წიგნაკი № 468 და პირადობის მოწმობა № 738 იორდანე გაბრიელის ძე პავლიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1548 1—1

დაკარგე ა | კ. სტრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 23541 გრიგოლ ელიზბარის ძე ცინცაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1553 (ა) 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ქუთაისის მილიციის მმართველობიდან მიღებული 1923 წლის 2 მარტს № 382, სამხედრო აღრიცხვის ბარათი ქუთაისის სამაზრო სამხედრო კომისარიატიდან მიღებული და სხ. იასონ გაბილაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1547 1—1

დაკარგე მოწმობები: 1) ქ. აღმასკ.—ან პირადობის, 2) „უქსიდან“ მანდატი—№ 1 412, 3) სახელ. უნივერსიტ. პირადობის მოწმობა სურათით, 4) კავშირის წიგნაკი № 2471, 5) რეგისტრაციის ბარათი მე-9—კომისარ. იაკობ გიორგის ძე ვადაჭკორიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1546 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი და აღრიცხვის ქაღალდი ქალაქ ქუთაისში აღებული ალექსანდრე სანაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1553 1—1

დაკარგე საკანდიდატო ბილეთი საქ. კ. პ. ტ. კ. საღ. განყ გაცემული № 7808, პირადობის მოწმობა ა | კ. კომიტეტის ქალთა განყ მიერ გაცემული № 13 | 4060, ამავე კომიტეტის ქალთა შორის მომუშავეთა კურსების დამთავრების მოწმობა № 13 | 6215, და საქ. კ. პ. ც. კ. ქალთა განყ. არსებულ ჟ. „ჩვენი გზა“-ში თანამშრომლობის მოწმობა № 1708 იულია ოქროპირის ასული ყრუაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1550 1—1

დაკარგე საარიცხვო ბარათი № 1714 გაცემული 30 მაის, 1924 წ. 11 უბნ. სამხედრო მაგიდის მიერ სიმონ ვაჩეშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1551 1—1

დაკარგე დავით ნიკოლოზის ძე სოხაძის სახლის გირავნობის მოწმობა საქართვ. პასუხისმგებელ შრომის არტელის სახელზე № 79 4 აპრილს. 1923 წ. და საარიცხვო ბარათი № 1715 18 მაისს, 1924 წ. გიორგი დავ. სოხაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1549 1—1